

القواعد الأربع

შირქის ოთხი საფუძველი

შირქის ოთხი საფუძველი

სახელითა ალლაჰისა, მონყალისა მწყალობლისა.

ვთხოვ ალლაჰს, ყველაზე მონყალეს, დიდებული 'არშის მეუფეს, რომ იბრუნოს ჩვენზე და დაგვიცვას ჩვენ ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც, და სადაც არ უნდა ვიყოთ გაგვხადოს მისდამი მადლიერი როცა უბრუნველყოფილნი, დაცულნი და უსაფრთხოდ ვართ. იცოდე, ალლაჰმა დაგეხმაროს მის მორჩილებაში, რომ ჰანიფობა არის იბრაჰიმის რელიგია, და ჰანიფობა ნიშნავს რომ სცეთ თაყვანი მხოლოდ ალლაჰს. ალლაჰი ამბობს:

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْإِنْسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

არ შემიქმნია ჯინნი და კაცნი არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ თაყვანი მცენ!
(ზარიათ 51:56)

ასე რომ, თუ აღიარებ, რომ ალლაჰმა შეგქმნა მისი თაყვანისცემისთვის, იცოდე, რომ თაყვანისცემას, არ ჰქვია თაყვანისცემა თუ მას არ ახლავს თავპიდი, ისევე როგორც ლოცვას არ ჰქვია ლოცვა განბანვის (აბდესის) გარეშე. თუ შეიმეცნებ, რომ შირქი აფუჭებს თაყვანისცემას, ანადგურებს ყველა კეთილ საქმეს და ვინც მოკვდება ისე, რომ ალლაჰს უდგენდა თანაზიარს, ის განწირულია მარადიული ცეცხლისთვის, მაშინ მიხვდები თუ რა არის ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უნდა შეისწავლო. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ თავპიდის და შირქის სწავლაა, რათა არ გაება შირქის მახეში. ალლაჰი თავის წიგნში ამბობს:

إِنَّ اللَّهَ لَا يَغْفِرُ أَنْ يُشْرَكَ بِهِ وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذَلِكَ لِمَنْ يَشَاءُ ۗ وَمَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدْ
أَفْتَرَىٰ إِثْمًا عَظِيمًا

უეჭველია, ალლაჰი არ მიუტევებს იმას, რომ მას თანაზიარი დაუდგინონ, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ვისაც ინებებს. და ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის! (სურა ნისა 4:48)

შირქის ცოდნა მოიცავს ოთხი პრინციპის ცოდნას, რომელიც ალლაჰმა თავის წიგნში ახსენა;



პირველი საფუძველი

ურწმუნოები, რომლებსაც ებრძოდა შუამავალი (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) ადასტურებდნენ, რომ აღლაჰი არის ყველა საქმის შემოქმედი და განმგებელი, მაგრამ მათმა დადასტურებამ ისინი ისლამში არ შეიყვანა და ამის დასტურია უზენაესი აღლაჰის დიდებული სიტყვები:

قُلْ مَنْ يَرْزُقُكُمْ مِّنَ السَّمَاءِ وَالْأَرْضِ أَمَّنْ يَمْلِكُ السَّمْعَ وَالْأَبْصَرَ وَمَنْ يُخْرِجُ الْحَيَّ مِنَ الْمَيِّتِ وَيُخْرِجُ الْمَيِّتَ مِنَ الْحَيِّ وَمَنْ يُدَبِّرُ الْأَمْرَ ۚ فَسَيَقُولُونَ اللَّهُ ۚ فَقُلْ أَفَلَا تَتَّقُونَ

უთხარი: ვინ გაძლევთ თქვენ სარჩოს ციდან და მიწიდან? ან ვინ ფლობს სმენასა და თვალთახედვას?! ვის გამოჰყავს ცოცხალი მკვდრისაგან და ვის გამოჰყავს მკვდარი ცოცხლისაგან?! ვინ განაგებს საქმეებს?! იტყვიან: აღლაჰიო. და უთხარი: განა არ გეშინიათ?! (სურა იუნუს 10:31)

მეორე საფუძველი

არაბი წარმართები ამბობდნენ: ჩვენ მათ მხოლოდ იმისთვის ვეთაყვანებით, რომ დაგვაახლოონ აღლაჰთან სიახლოვეთ. ამის დასტური არის აღლაჰის სიტყვები:

أَلَا لِلَّهِ الدِّينُ الْخَالِصُ ۚ وَالَّذِينَ اتَّخَذُوا مِن دُونِهِ أَوْلِيَاءَ مَا نَعْبُدُهُمْ إِلَّا لِيُقَرِّبُونَا إِلَى اللَّهِ زُلْفَىٰ إِنَّ اللَّهَ يَحْكُمُ بَيْنَهُمْ فِي مَا هُمْ فِيهِ يَخْتَلِفُونَ ۗ إِنَّ اللَّهَ لَا يَهْدِي مَنْ هُوَ كَاذِبٌ كَفَّارٌ

ჭეშმარიტად, ხალახი რწმენა აღლაჰისაა! ისინი კი, რომელთაც აიყვანეს მის გარდა მფარველები(ამბობენ): არ ვეთაყვანებით მათ, თუ არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვაახლოონ აღლაჰთან სიახლოვეთ. ჭეშმარიტად, აღლაჰი განსჯის მათ შორის იმას, რაშიც ვერ თანხმდებოდნენ. აღლაჰი არ დაადგენს სწორ გზაზე იმას, ვინც მატყუარა, უმადურია. (ზუმარ 39:3)

შაფა'ათი (შუამდგომლობა) არის ორი სახის;

1. აკრძალული შაფა'ათი
2. დაშვებული შაფა'ათი.

აკრძალული შაფა'ათი არის ის, რომელსაც ეძებენ სხვებთან აღლაჰის გარდა იმ საკითხებში, რომლის გაკეთებაც მხოლოდ აღლაჰს შეუძლია, და ამის მტკიცებულება არის აღლაჰის სიტყვები:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا أَنْفِقُوا مِمَّا رَزَقْنَاكُمْ مِّن قَبْلِ أَنْ يَأْتِيَ يَوْمٌ لَا بَيْعَ فِيهِ وَلَا خُلَّةٌ وَلَا شَفَاعَةٌ ۗ وَالْكَافِرُونَ هُمُ الظَّالِمُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიღეთ (გახარჯეთ) რაც თქვენ გიბოძეთ იქიდან, სანამ მოსულა დღე, რომელშიც არც ვაჭრობა, არც მეგობრობა და არც შუამდგომლობა არ იქნება. და ურწმუნონი უსამართლონი არიან. (ბაყარა 2:254)

დამვებული შაფა'ათი არის რაც არის ალლაჰისგან დამვებული და რომელსაც მიიღებს მისი შუამავალი (განკითხვის დღეს) და უშუამდგომლებს მხოლოდ მათ, ვისგანაც ალლაჰი კმაყოფილია, და ეს მოხდება მხოლოდ ალლაჰის ნებართვის შემდეგ. ამის დასტურია ალლაჰის სიტყვა:

مَنْ ذَا الَّذِي يَشْفَعُ عِنْدَهُ إِلَّا بِإِذْنِهِ

და მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა მისი ნება ... (ბაყარა 2:255)

მესამე საფუძველი

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) მოვიდა ხალხთან, რომელთა თაყვანისცემაც იყო სხვადასხვანაირი; ზოგი თაყვანს სცემდა ანგელოზებს, ზოგი კი თაყვანს სცემდა შუამავლებს და მორწმუნე ადამიანებს,

იყვნენ ისეთებიც რომლებიც თაყვანს სცემდნენ ქვებს, ხეებს, ზოგი მათგანი კი მზეს და მთვარეს ეთაყვანებოდა, მაგრამ შუამავალი მათ შორის არავითარ განსხვავებას არ აკეთებდა. ამის დასტურია ალლაჰის სიტყვა:

وَقَاتِلُوهُمْ حَتَّى لَا تَكُونَ فِتْنَةٌ وَيَكُونَ الدِّينُ كُلُّهُ لِلَّهِ ۚ فَإِنِ انْتَهَوْا فَإِنَّ اللَّهَ بِمَا يَعْمَلُونَ بَصِيرٌ

და შეებრძოლეთ მათ, ვიდრე არ გაქრება ცდუნება(შირქი) და არ იქნება მთლიანად ალლაჰის სარწმუნოება. ხოლო თუ ხელს აიღებენ, ალლაჰი ხედავს, რასაც აკეთებენ. (ანფალ 8:39)

მზისა და მთვარის თაყვანისცემის შესახებ კი:

وَمِنَ ءَايَاتِهِ الَّيْلُ وَالنَّهَارُ وَالشَّمْسُ وَالْقَمَرُ ۚ لَا تَسْجُدُوا لِلشَّمْسِ وَلَا لِلْقَمَرِ وَاسْجُدُوا لِلَّهِ الَّذِي خَلَقَهُنَّ إِن كُنتُمْ إِيَّاهُ تَعْبُدُونَ

მისი ნიშნებია ღამე და დღე, მზე და მთვარე. თაყვანი არ სცეთ არც მზეს და არც მთვარეს. თაყვანი ეცით ალლაჰს, რომელმაც შექმნა ისინი, თუკი მხოლოდ მას ეთაყვანებით. (ფუსსილათ 41:37)

ანგელოზების შესახებ კი წერია:

وَلَا يَأْمُرُكُمْ أَنْ تَتَّخِذُوا الْمَلَائِكَةَ وَالنَّبِيِّنَ أَرْبَابًا ۗ فَلْيَأْمُرْكُمْ بِالْكَفْرِ بَعْدَ إِذْ أَنْتُمْ مُسْلِمُونَ

და არც ის, რომ ებრძანოს თქვენთვის: ანგელოზი და შუამავალნი გაიხადოთ ღმერთებად. განა გიბრძანებთ ურწმუნოებას იმის მერე, რაც თქვენ მუსლიმნი გახდით?! (ალი იმრან 3:80)

შუამავლების მიმართ თაყვანისცემა, რომელიც ნახსენებია შემდეგ აიათში:

وَإِذْ قَالَ اللَّهُ يُعِيسَى ابْنَ مَرْيَمَ ءَأَنْتَ قُلْتَ لِلنَّاسِ اتَّخِذُونِي وَأُمِّيَ إِلَهَيْنِ مِن دُونِ اللَّهِ ۗ قَالَ سُبْحَانَكَ مَا يَكُونُ لِي أَنْ أَقُولَ مَا لَيْسَ لِي بِحَقِّ ۚ إِن كُنْتُ قُلْتُهُ فَقَدْ عَلِمْتَهُ ۚ تَعَلَّمَ مَا فِي نَفْسِي وَلَا أَعْلَمُ مَا فِي نَفْسِكَ ۚ إِنَّكَ أَنْتَ عَٰلِمُ الْغُيُوبِ

და ეტყვის ალლაჰი: ჰეი 'ისა, შენ უთხარი ხალხს - დაგვადგინეთ მე და დედაჩემი ორ ღვთაებად ალლაჰის მაგივრად?! ეტყვის: დიდება შენდა! არასოდეს ყოფილა, მეთქვას ის, რისი უფლებაც არ გამაჩნია. და ეს რომ მეთქვა, გეცოდინებოდა კიდევაც. შენ უნცი რა არის ჩემში, მე კი არ ვიცი რა არის შენში. ჭეშმარიტად, შენა ხარ დაფარულთა მცოდნე. (მაიდე 5:116)

მართალი ადამიანებისადმი თაყვანისცემა დასტურდება შემდეგი აიათით:

أُولَٰئِكَ الَّذِينَ يَدْعُونَ يَبْتَغُونَ إِلَىٰ رَبِّهِمُ الْوَسِيلَةَ أَيُّهُمْ أَقْرَبُ وَيَرْجُونَ رَحْمَتَهُ وَيَخَافُونَ عَذَابَهُ ۚ إِنَّ عَذَابَ رَبِّكَ كَانَ مَحْذُورًا

ისინი, რომლებიც უხმობენ ეძიებენ გზას თავიანთ ღმერთთან, რომელი უფრო ახლოსაა; იმედოვნებენ მის მოწყალებას და ეშინიათ მისი სასჯელისა. შენი ღმერთის სასჯელი გასაფრთხილებელია.

(ისრა 17:57)

ქვების და ხეების შესახებ კი დასტურდება შემდეგი აიათებით:

أَفَرَأَيْتُمُ اللَّاتَ وَالْعُزَّىٰ مَنَوَاتٍ ۚ أَلَا هُنَّ أُولَٰئِكَ ۚ

განა გინახავთ თქვენ ალ-ლათი ან ალ-უზმა? და სხვა, მესამე, მენათი?
(ნაჰმ 53:19-20)

და ჰადისი - ჰადმოცემული აბუ ვაყიდ ალ-ლაისის, რომელშიც ვკითხულობთ:

ალლაჰის შუამავალთან ერთად გავემართეთ ჰუნაინისკენ. მაშინ ახალი დატოვებული გვექონდა ურწმუნოება და ახალი მიღებული გვექონდა ისლამი. წარმართებს ჰქონდათ ხე, რომელთანაც გროვდებოდნენ თავისი რიტუალების ჩასატარებლად, რომელზეც ჰკიდებდნენ ბრძოლის წინ აბჯარს და ა.შ. ამ ხეს ეძახდნენ `ბათ ანვატს. როცა ამ ხეს ჩავუარეთ, ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალაამი მას) ვუთხარი - შუამავალო, გავიკეთე ჩვენც ერთი ასეთი ხე, ისეთი, როგორც წარმართებს ჰქონდათ! ალლაჰის შუამავალმა კი გვიპასუხა: ღმერთი უდიდესია!(სუბჰან ალლაჰ) თქვენი ნათქვამი მსგავსია იმისა, რაც თქვა მუსას ხალხმა: **დაგვიდგინე ჩვენ ისეთი ღვთაება, როგორი ღვთაებებიც ჰყავთ მათ. მიუგო: უეჭველად, თქვენ ხართ უვიცი ხალხი, (სურა ა'რაფ 7:138)** ვფიცავ მას, ვის ხელშიც არის ჩემი სული, თქვენ გაჰყვებით იმათ გზას ვინც იყო თქვენამდე. (თიმრიზი 33:2180)

მეოთხე საფუძველი

ჩვენი დროის წარმართები უფრო უარეს შირქში არიან ვიდრე უწინდელი წარმართები, რადგან წინა თაობების წარმართები შირქს მხოლოდ მშვიდობის დროს ასრულებდნენ, ხოლო გასაჭირის დროს გულწრფელად ევედრებოდნენ ერთადერთ ღმერთს. დღევანდელი წარმართები, რომელთა შირქი უწყვეტია - გასაჭირის და მშვიდობის დროსაც. ამის დასტური არის ალლაჰის სიტყვა:

فَإِذَا رَكِبُوا فِي الْفُلِكِ دَعَوْا اللَّهَ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ فَلَمَّا نَجَّاهُمْ إِلَى الْبَرِّ إِذَا هُمْ يُشْرِكُونَ

როცა ისინი დასხდნენ გემში, მოუხმეს ალლაჰს გულწრფელი რწმენით და, როდესაც გადაარჩენს მათ და ხმელეთზე გაიყვანს, თანაზიარს უდგენენ. (ანქებუთ 29:65)



წიგნის ახსნა

წიგნის ავტორი, მუჰამმად ათ-თამიმი წერდა:

ვთხოვ ერთადერთ ღმერთს, ყველაზე მონყალეს და ტახტრევნის ღირსეულ მეუფეს, რომელიც ზრუნავს ჩვენზე ამ ქვეყნადაც და იმ ქვეყნადაც, და გვაძლევს წყალობას სადაც არ უნდა ვიყოთ. ვთხოვ ღმერთს გაგვხადოს მაღლიერნი და იბრუნოს ჩვენზე. და ვთხოვ ღმერთს გაგვხადოს მომთმენნი და მომნანიე როცა ცოდვაში ჩავვარდებით. ალ-ყავაიდ ალ-არბა' (ოთხი საფუძველი) არის შეიხ მუჰამმად ათ-თამიმის წიგნი. ყავაიდი არის ყაიდას მრავლობითი ფორმა. ამ წიგნში არის ახსნილი შირქის ოთხი საფუძველი, საიდანაც გამოდის მრავალი საკითხი და ამ წიგნის მეშვეობით განირჩევა თავჭიდის და შირქის საკითხი. ასე რომ, რა არის თავჭიდის საფუძველი და რა არის შირქის საფუძველი? ბევრი ადამიანი დაბნეულია ამ ორ საკითხში; ისინი შეცდნენ თავჭიდისა და შირქის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თითოეული ხსნის მას თავისი სურვილის მიხედვით. სავალდებულოა ყურანსა და სუნნაში დაბრუნება, რათა შევისწავლოთ ეს პრინციპები ისე, რომ ჩვენი სიტყვები იყოს სწორი, რომელიც დაფუძნებული იქნება ალლაჰის წიგნზე და მისი შუამავლის სუნნაზე, რათა უკეთ გავიგოთ თავჭიდისა და შირქის საფუძველი. ამ წიგნის ავტორი, ამ საფუძველს თავისი მოსაზრებით არ ხსნის, როგორც ამას აკეთებს ბევრი გზასამცდარი ადამიანი. წიგნის ავტორმა ეს საფუძველები განმარტა ალლაჰის წიგნიდან, შუამავლის სუნნადან და მისი ბიოგრაფიიდან (სირა). თუ გესმით ეს საფუძველები (ყურანი და სუნნა), მაშინ ადვილი იქნება რომ გაიგოთ თავჭიდი, რომლითაც ალლაჰმა წარმოგზავნა თავისი შუამავლები და რომლებსაც მოუვლინა თავისი წიგნები და ასევე ადვილი იქნება გაიგოთ შირქი - რომელზეც ალლაჰმა გააფრთხილა ადამიანები თავისი შუამავლების ენით, და ამცნო ადამიანებს შირქის საზიანო შედეგების შესახებ საიქიოში. ასევე სწორი 'აყიდა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. უფრო მეტად მნიშვნელოვანია ვიდრე ლოცვა, ბეჟათი, და რელიგიური წესების ცოდნა, რადგან ეს არის უპირველესი და ფუნდამენტალური საკითხი, ვინაიდან ლოცვა, ბეჟათი, ჰაჯი და თაყვანისცემის სხვა წესები არ არის სწორი, თუ ისინი არ არის დაფუძნებული სწორ 'აყიდაზე, რაც გულისხმობს ალლაჰის წმინდა თავჭიდს. წიგნის ავტორის ახსნას წინ უძღოდა წინასიტყვაობა, რომელიც შეიცავს ვედრებას ცოდნის მაძიებელთათვის და გაფრთხილებას, რომლის ახსნასაც აპირებს. შეიხმა დანერა: 'ვთხოვ ალლაჰს, ყველაზე მონყალეს, 'არშის მბრძანებელს, რომელიც ზრუნავს ჩვენზე ამ ქვეყნადაც და იმ ქვეყნადაც.' ეს არის შესანიშნავი შესავალი; რომელიც შეიცავს შეიხის ვედრებას ცოდნის მაძიებელთათვის, რომლებიც სწავლობენ 'აყიდას და განზრახული აქვთ მიიღონ სწორი ცოდნა და თავიდან აიცილონ შირქი. ადამიანს სჭირდება თავისი ღმერთი, რომ დაიფაროს ის ამ ქვეყნადაც და საიქიოშიც. თუკი ალლაჰი იბრუნებს ადამიანზე, შეუძლებელია ასცდეს სწორ გზას ამ ქვეყნიურ საქმეებშიც და რელიგიაშიც. ალლაჰი ამბობს:

اللَّهُ وَلِيُّ الَّذِينَ آمَنُوا يُخْرِجُهُمْ مِنَ الظُّلُمَاتِ إِلَى النُّورِ وَالَّذِينَ كَفَرُوا أَوْلِيَاؤُهُمُ
الطُّغُوتُ يُخْرِجُونَهُمْ مِنَ النُّورِ إِلَى الظُّلُمَاتِ أُولَئِكَ أَصْحَابُ النَّارِ هُمْ فِيهَا خَالِدُونَ

აღლაპი მფარველია მათი, რომელთაც ირწმუნეს. ისინი გამოჰყავს მას სიბნელიდან სინათლეში. და რომელთაც უარყვეს მათი მეგობარი, ტალუთია, რომელსაც ისინი გაჰყავს სინათლიდან სიბნელეში. ისინი არიან ცეცხლის ბინადარნი, იქნებიან მასში მარადიულად. (ბაყარა 2:257)

ასე რომ, როდესაც აღლაპი გიცავთ თქვენ, ის გამოგიყვანთ შიქრის, ქუფრის, სიახლეების და ეჭვების სიბნელიდან, რწმენის (თავჭიდის), სიკეთის, ცოდნის და სამართლიანობის შუქზე. ამის მიზეზი ნათქვამია აიათში:

ذٰلِكَ بِاَنَّ اللّٰهَ مَوْلٰى الَّذِيْنَ ءَامَنُوْا وَّ اَنَّ الْكٰفِرِيْنَ لَا مَوْلٰى لَهُمْ

'ეს იმის გამო, რომ აღლაპი მფარველია იმათი, ვინც ირწმუნა, ხოლო ურწმუნოებს არა ჰყავთ მფარველი.' (მუჰამმად 47:11)

როდესაც ადამიანს აქვს აღლაპის მხარდაჭერა და მის მიერ მინიჭებული სწორი გზა ამ ქვეყნად და საიქიოშიც, მაშინ მან მიაღწია ბედნიერებას და უბედური აღარ იქნება. ამ სამყაროში აღლაპი იბრუნებს თქვენზე და გატარებთ სწორი მანჰაჯით (მეთოდით). ამ ქვეყნად მხარდაჭერა არის, როცა მან მოგცა თავჭიდის შეცნობის საშუალება და მოგცა უნარი გაგეკვლია სწორი მეთოდი. ხოლო საიქიოში ბრუნვა არის როცა შეგიშვებს სამოთხეში მარადიულად, სადაც არ არის შიში, ავადმყოფობა, უბედურება და სიბერე. სწორედ ეს არის აღლაპის მხარდაჭერა მისი მორწმუნე მსახურებისადმი ამ ქვეყნადაც და იმ ქვეყნადაც. შეიხმა ასევე დაწერა:

'ვთხოვ ღმერთს დაგლოცოთ სადაც არ უნდა იყოთ' როცა აღლაპი დაგლოცავს, სადაც არ უნდა იყო, ეს არის უდიდესი მიღწევა, რადგან აღლაპი ლოცავს შენს ცხოვრებას და უბრუნველგყოფთ ცოდნით, სამუშაო ადგილით და შთამომავლობით. სადაც არ უნდა წახვიდე, წყალობა თან გსდევს შენ, და სწორედ ეს არის უდიდესი წყალობა აღლაპისგან. შეიხმა ასევე დაწერა:

'ვთხოვ აღლაპს, გაგხადოთ მადლიერნი, როცა უბრუნველყოფილი ხართ. ვთხოვ აღლაპს, რომ არ იყოთ უმადურნი, ამაცნი, ბევრი ადამიანი სჩადის ქუფრს და უმადურია იმ წყალობის, რომელიც ეძლევა. მათ გაფლანგეს აღლაპის წყალობა აღლაპისადმი ურჩობაში და მათზე ნაბოძები სიკეთე გახდა მათი უბედურების მიზეზი. ვინც მადლიერია, აღლაპი მიუმატებს სიკეთეს. გახსოვდეს შენი ღმერთის ეს სიტყვები:

وَ اِذْ تَاَذَنَ رَبُّكُمْ لَئِنْ شَكَرْتُمْ لَازِيْدَنَّكُمْ وَّ لَئِنْ كَفَرْتُمْ اِنَّ عَذَابِيْ لَشَدِيْدٌ

'და უხმო შენმა ღმერთმა: თუ იქნებით მადლიერნი, გაგიმრავლებთ(წყალობას), ხოლო თუ ურწმუნონი იქნებით, ჭეშმარიტად, ჩემი სასჯელი მტანჯველია. (იბრაჰიმ 14:7)

აღლაპი მიუმატებს სიკეთესა და წყალობას მათ, ვინც მადლიერია. ასე რომ, თუ გსურს მეტი სიკეთე, მაშინ უნდა იყო აღლაპის მადლიერი, და თუ გსურს რომ წყალობა შეგიმცირდეს, მაშინ იყავი უმადური. შეიხი აგრძელებს:

მე ვთხოვ აღლაპს მამყოფოს იმათ შორის, ვინც მადლიერია გამოცდის დროს. აღლაპი სცდის მის მსახურებს; ის მათ სცდის გაჭირვებით, უბედურებებით, მტრებით, ურწმუნოებით და თვალთმაქცებით. მორწმუნეებს სჭირდებათ მოთმინება, ოპტიმიზმი და აღლაპის წყალობის იმედი. მათ სჭირდებათ სიმტკიცე რელიგიაში, და ის, რომ არ გადაიხარონ და არ დანებდნენ რთულ დროში. ისინი უნდა იყვნენ მტკიცენი თავიანთ რელიგიაზე და იყვნენ მომთმენნი უბედურების ჟამს. ვინც გამოცდის დროს ბრაზდება, იმედი უცრუვდება და სევდა იპყრობს, ის უფრო და უფრო რთული გამოცდის წინაშე დგება. მაჰმუდ იბნ ლაბიდი გადმოსცემს, აღლაპის შუამავალმა

(აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: თუკი აღლაჰს უყვარს ხალხი, იგი მათ გამოსცდის მწუხარებებით. ვინც მოითმენს ექნება ჯილდო მოთმინებისთვის, და ვინც არ მოითმენს ბრალი დაედება მოუთმენლობისთვის. (მუსნად აჰმად 23122)

'ადამიანთა შორის, ყველაზე დიდი გამოცდა მოდის შუამავლებზე, შემდეგ მათ მსგავსებზე და შემდეგ მის მსგავსებზე. (თირმიზი) შუამავლები გამოიცადნენ, მართლმორწმუნე ხალხი გამოიცადა, შაჰიდები გამოიცადნენ და აღლაჰის მორწმუნე მსახურები გამოიცადნენ, ყველა მათგანმა მოთმინება გამოავლინა თვალთმაქცების გარდა, რომლებზედაც აღლაჰმა თქვა:

وَمِنَ النَّاسِ مَنْ يَعْبُدُ اللَّهَ عَلَىٰ حَرْفٍ ۖ فَإِنْ أَصَابَهُ خَيْرٌ اطْمَأَنَّ بِهِ ۖ وَإِنْ أَصَابَتْهُ فِتْنَةٌ
أَنقَلَبَ عَلَىٰ وَجْهِهِ خَسِرَ الدُّنْيَا وَالْآخِرَةَ ۚ ذَٰلِكَ هُوَ الْخُسْرَانُ الْمُبِينُ

ადამიანთა შორის არიან ისეთებიც, ვინც ეთაყვანება აღლაჰს, მაგრამ ორჭოფობენ. თუკი სიკეთე ეწევათ, კმაყოფილნი არიან ამით, ხოლო თუ განსაცდელი ეწევათ, უკან იხევენ. ნაგებულნი არიან ამ ქვეყნადაც და იმ ქვეყნადაც და, სწორედ ეს არის აშკარა ნაგება. (ჰაჯი 22:11)

ასე რომ, მიწიერი ცხოვრება ყოველთვის არ არის კომფორტი, ფუფუნება, სიამოვნება და წარმატება. აღლაჰი ცვლის მდგომარეობებს მის მსახურებს შორის. აღლაჰმა თქვა:

إِنْ يَمْسَسْكُمْ قَرْحٌ فَقَدْ مَسَّ الْقَوْمَ قَرْحٌ مِّثْلُهُ ۚ وَتِلْكَ الْأَيَّامُ نُدَاوِلُهَا بَيْنَ النَّاسِ وَلِيَعْلَمَ
اللَّهُ الَّذِينَ ءَامَنُوا وَيَتَّخِذَ مِنْكُمْ شُهَدَاءَ ۗ وَاللَّهُ لَا يُحِبُّ الظَّالِمِينَ

თუ თქვენ რაიმე დანაკარგმა შეგეხოთ (უჭუდის ომში), იმის მსგავსი დანაკარგი სხვა ხალხმაც მიიღო (ბედირის ომში). და ჩვენ (წარმატება- წარუმატებლობის) დღეებს ვცვლით ხალხთა შორის, რათა გამოსცადოს (ისინი) აღლაჰმა, ვინც ირწმუნა, და მიიღოს თქვენგან შეჰიდები. და აღლაჰს არ უყვარს უსამართლონი. (ალი იმრან 3:140)

ასე რომ, ადამიანი უნდა დამშვიდდეს და იცოდეს, რომ განსაცდელები არ არის მხოლოდ მისთვის (და არ თქვას: რატომ მე?). აღლაჰის საყვარელი ხალხი, საჰაბეებიც კი დატანჯულან განსაცდელებით და გამოცდებით. ამიტომ უნდა იყოს მომთმენნი და დაელოდოთ შვებას აღლაჰისგან, და კარგი ბოლო იმისთვისაა, ვისაც ღმერთის ემინია. შემდეგ შეიხმა დანერა: 'მე ვთხოვ აღლაჰს გაგვხადოს იმათთაგანი, ვინც ინანიებს როცა ცოდვას ჩაიდენს' ვინც ცოდვებს სჩადის, არ ინანიებს და აგრძელებს ცოდვების ჩადენას, ის არის უბედური ადამიანი, ხოლო მორწმუნე ადამიანი, როცა ცოდვაში ჩავარდება, ჩქარობს მონანიებას. აღლაჰმა თქვა:

وَالَّذِينَ إِذَا فَعَلُوا فَحِشَةً أَوْ ظَلَمُوا أَنفُسَهُمْ ذَكَرُوا اللَّهَ فَاسْتَغْفَرُوا لِذُنُوبِهِمْ وَمَنْ يَغْفِرِ
اللَّهُ الذُّنُوبَ إِلَّا اللَّهُ وَلَمْ يُصِرُّوا عَلَىٰ مَا فَعَلُوا وَهُمْ يَعْلَمُونَ

ისინი, რომელთაც ჩაიდინეს სიავე ან ავნეს საკუთარ თავს, გაიხსენონ აღლაჰი და მესთხოვონ პატიება ცოდვებისათვის. ხოლო ვინ მიუტევებს აღლაჰის გარდა? და არ გაიმეორებენ(დაჟინებთ) იმას, რაც ჩაიდინეს მაშინ როცა მათ იციან (ალი იმრან 3:135)

إِنَّمَا التَّوْبَةُ عَلَى اللَّهِ لِلَّذِينَ يَعْمَلُونَ السُّوءَ بِجَهَالَةٍ ثُمَّ يَتُوبُونَ مِنْ قَرِيبٍ فَأُولَئِكَ يَتُوبُ اللَّهُ عَلَيْهِمْ^ط وَكَانَ اللَّهُ عَلِيمًا حَكِيمًا

აღლაჰის წინაშე მიღებული მიტევება მხოლოდ იმათთვისაა, ვინც უმეცრებით უკეთურობას სჩადის, და მერე კი მაშინვე ინანიებს, და შეუნდობს მათ აღლაჰი. აღლაჰი ყოვლისმცოდნე, ბრძენია! (ნისა 4:17)

'მაშინვე ინანიებს' ნიშნავს, როდესაც ცოდვაში ჩავარდება და მოინანიებს. არავინ არ არის დაბღვეული ცოდვებისგან, მაგრამ აღლაჰი აქებს მას, ვინც წავიდა მონანიების კარისკენ. ასე რომ აუცილებელია ადამიანისგან, როცა შესცოდავს, იჩქაროს მონანიება. და თუ არ მოინანიებს და არ ითხოვს პატიებას, მაშინ ეს არის უბედურების ნიშანი. ასეთი ადამიანი შეიძლება სასონარკვეთილი იყოს აღლაჰის წყალობისგან (ე.ი პატიების იმედი არ ჰქონდეს) და შაიტანი მივიდეს მასთან და უთხრას: 'შენთვის პატიება არ არსებობს'

შემდეგი სამი საკითხი არის ადამიანის ბედნიერების საფუძველი;

1. როდესაც მას რაიმე მიეცემა, მადლიერია.

2. განსაცდელის დროს მომთმენია.

3. როცა ცოდვაში ჩავარდება, პატიებას ითხოვს მისი ღმერთისგან.

ვისაც აქვს ეს სამი თვისება, მან მიაღწია ბედნიერებას და ვინც ამ თვისებებს

მოკლებულია - მაშინ ის არის უბედური. შემდეგ შეიხი აგრძელებს:

'იცოდე, აღლაჰმა შეგინწყალოს შენ, რომ აღლაჰისადმი მორჩილება ნიშნავს, მისი

ბრძანებების შესრულებას და მისი აკრძალვებისგან თავის შეკავებას'. 'და ასევე

იცოდე, რომ ჰანიფია (ერთმორწმუნეობა) არის იბრაჰიმის რელიგია'

აღლაჰმა უბრძანა შეამავალს, მიჰყოლოდა იბრაჰიმის რელიგიას:

ثُمَّ أَوْحَيْنَا إِلَيْكَ أَنْ اتَّبِعْ مِلَّةَ إِبْرَاهِيمَ حَنِيفًا^ط وَمَا كَانَ مِنَ الْمُشْرِكِينَ

შემდგომ ზემთაგაგონეთ შენ: რომ გაჰყოლოდი ჰანიფი იბრაჰიმის რელიგიას, და იგი არ ყოფილა წარმართთაგანი. (ნაჰლ 16:36)

ჰანიფია (ე.ი ისლამი) არის ჰანიფების (მონოთეისტების/მუვაჰიდების) რელიგია.

ჰანიფი ის არის, ვინც ეთაყვანება მხოლოდ აღლაჰს და არავის მის გარდა. ის ეთაყვანება აღლაჰს თავისი გულით, საქმით, ზრახვებითა და მიზნებით. აღლაჰმა ჩვენთვის აარჩია იბრაჰიმის რელიგია:

وَجَاهِدُوا فِي اللَّهِ حَقَّ جِهَادِهِ^ج هُوَ اجْتَبَاكُمْ وَمَا جَعَلَ عَلَيْكُمْ فِي الدِّينِ مِنْ حَرَجٍ^ج مِلَّةَ أَبِيكُمْ إِبْرَاهِيمَ

გაისარჯეთ აღლაჰისთვის სათანადო ბრძოლით. მან ამოგარჩიათ და არ დაუდგენია თქვენთვის არანაირი სირთულე სარწმუნოებაში. ეს მამათქვენის, იბრაჰიმის რელიგიაა. (ჰაჯ 22:78)

აღლაჰის მოვლენილი რელიგია არის - რომ თაყვანი სცე აღლაჰს, რომელმაც დაადგინა რელიგია და ეს რელიგია არის ჰანიფია. ჰანიფიას მნიშვნელობა არის შემდეგ აიათში:

وَمَا أُمْرُوا إِلَّا لِيَعْبُدُوا اللَّهَ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ حُنَفَاءَ وَيُقِيمُوا الصَّلَاةَ وَيُؤْتُوا الزَّكَاةَ
وَذَلِكَ دِينُ الْقَيِّمَةِ

მათ არ ბრძანებით არაფერი იმის გარდა, რომ ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ გულწრფელად, როგორც ჰანიებებს, დამდგარიყვნენ ლოცვად და გაელოთ მონყალება - და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება. (ბეიინე 98:5) ალლაჰმა უბრძანა ყველა ჯინს და ადამიანს, რომ თაყვანი სცენ მხოლოდ მას:

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْإِنْسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

არ შემიქმნია ჯინნი და კაცნი არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ თაყვანი მცენ!
(ბარიათ 51:56)

ამ აიათის მნიშვნელობა 'თაყვანი მცენ' არის - გამომარჩიონ და მე მომიძღვნან თაყვანისცემა. ქმნილებების შექმნის სიბრძნე ის არის რომ თაყვანი სცენ ერთადერთ ღმერთს გულწრფელად. ქმნილებებს შორის არიან ისეთები, ვინც ასრულებს თაყვანისცემას და არიან ისეთებიც, ვინც არ ასრულებს. ვინც ეთაყვანება ალლაჰის გარდა სხვას (სულიერს თუ უსულოს), ის ეწინააღმდეგება სიბრძნეს და მისი გაჩენის მიზანს. იბრაჰიმი არის ყველა შუამავლის მამა, და ყველა შუამავალი მისი შთამომავლობიდანაა, სწორედ ამიტომ ალლაჰმა თქვა:

وَوَهَبْنَا لَهُ إِسْحَاقَ وَيَعْقُوبَ وَجَعَلْنَا فِي ذُرِّيَّتِهِ النُّبُوَّةَ وَالْكِتَابَ وَأَتَيْنَاهُ أَجْرَهُ فِي الدُّنْيَا
وَإِنَّهُ فِي الْآخِرَةِ لَمِنَ الصَّالِحِينَ

და ვუწყალობეთ მას ისჰაკი და ია'უბი და დავადგინეთ მის შთამომავლობაში შუამავლობა და წიგნი და ვუბოძეთ მას თავისი საბლაური ამქვეყნადვე. საიქიოში კი იქნება მართალთა შორის. (ანქებუთ 29:27)

ყველა მათგანი (ე.ი შუამავლები) არიან ისრაელის შვილებიდან გარდა მუჰამადისა, რადგან ის არის ისმა'ილის შთამომავლობიდან. ალლაჰმა იბრაჰიმი ასევე აქცია ხალხის იმამად, რაც მაგალითს ნიშნავს:

...მე დაგადგენ შენ ხალხის წინამძღვრად!... (ბაყარა 2:124)

ჭეშმარიტად, იბრაჰიმი წინამძღოლი(იმამი) იყო... (ნაჰლ 16:120)

ეს კი ნიშნავს (ე.ი იმამი) მისაბად მაგალითს.

ალლაჰმა უბრძანა ყველა ქმნილებას მისადმი თაყვანისცემა როგორც მან თქვა:

არ შემიქმნია ჯინნი და კაცნი არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ თაყვანი მცენ!
(ბარიათ 51:56)

და იბრაჰიმმაც მოუწოდა ხალხს, რომ თაყვანი ეცათ ალლაჰისათვის, ისევე როგორც ამას აკეთებდა ყველა შუამავალი. ყველა შუამავალი მოუწოდებდა ერთადერთი ღმერთისადმი თაყვანისცემას და განდგომას იმ ყველაფერზე რასაც ალლაჰის გარდა ეთაყვანებოდნენ, როგორც ალლაჰმა გვაცნობა:

وَلَقَدْ بَعَثْنَا فِي كُلِّ أُمَّةٍ رَسُولًا أَنِ اعْبُدُوا اللَّهَ وَاجْتَنِبُوا الطَّغُوتَ

და ვფიცავ! ჩვენ წარმოვგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ და განდგომოდნენ ტალუთს... (ნაჰლ 16:36)

ყველა შუამავალი მოუწოდებდა თაყვიდისკენ, ერთადერთი ღმერთის

თაყვანისცემისკენ, თუმცა შუამავლების შარიათებს შორის იყო განსხვავებები -

მცნებებში და შეზღუდვებში, აკრძალულში და ნებადართულში (ჰალალი და ჰარამი). ალლაჰმა მუჰამმადის მოვლინებით დააკანონა შარიათი (კანონთა კრებული) და გააუქმა სხვა შარიათები, და ერთადერთ სწორ გზად მუჰამმადის შარიათი იქნება განკითხვის დღემდე.

ყველა შუამავლის რელიგიის საფუძველი იყო თავჭიდი, რომელიც არასოდეს გაუქმებულა და არასოდეს გაუქმდება. მათი რელიგია ერთია და ეს არის ისლამი - რაც ალლაჰისადმი გულწრფელ თაყვანისცემას ნიშნავს, ხოლო მათი მოტანილი კანონები განსხვავდებოდა, მაგრამ თავჭიდი და 'აყიდა (მრწამსი) ერთი იყო. ადამიდან ბოლო შუამავლამდე - ყველა მოუწოდებდა ალლაჰის თაყვიდისკენ და მისი თაყვანისცემისკენ. *არ შემიქმნია ჯინნი და კაცნი არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ თაყვანი მცენ!* (ზარიათ 51:56)

თქვენ ხართ კაცობრიობის ნაწილი და გეხებათ ეს აიათი, და იცოდეთ, რომ ალლაჰს არ შეუქმნიხართ გასართობად და ჭამა-სმისთვის, დროს ტარებისთვის და (გადამეტებული) ხუმრობისთვის. ალლაჰმა შეგქმნა მისადმი თაყვანისცემისთვის და დაადგინა საშუალებები რათა დაგეხმაროს მისადმი მორჩილებაში. ალლაჰმა დაგიმორჩილა სხვადასხვა ნივთები, რომ თაყვანისცე მას და არავის მის გარდა და რომ დაკმაყოფილდე მათით, თავი იგრძნო მშვიდად და გაიხარო. უზომო ჭამა-სმით გამოირჩევიან ცხოველები. ალლაჰმა ადამიანი დიდი სიბრძნის და მიზნისთვის შექმნა. ალლაჰი ამბობს:

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْإِنْسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ . مَا أُرِيدُ مِنْهُمْ مِنْ رِزْقٍ وَمَا أُرِيدُ أَنْ يُطْعَمُوا

არ შემიქმნია ჯინნი და კაცნი არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ თაყვანი მცენ! არ მინდა მათგან სარჩო და არც ის, რომ დამაპურონ. (ზარიათ 51:56-57)

ალლაჰს არ გაუჩენიხართ იმისათვის, რომ დააპუროთ და არც იმისთვის, რომ ხელი მიჰყოთ მომხვეჭელობას. ალლაჰი, ყველაზე აღმატებული კვებას მის ქმნილებებს და თვითონ ამას არ საჭიროებს, მას არ სჭირდება ვინმესგან ზრუნვა და მის დიდებულებას არავის თაყვანისცემა არ ჰმატებს რამეს, და არც ურჩობა აკლებს რამეს. ეს თქვენ ხართ, ვისაც სჭირდება ალლაჰისადმი თაყვანისცემა. მისი ბრძანება არის წყალობა რათა მიიღოთ სარგებელი, და თუ მხოლოდ მას ეთაყვანებით მიიღებთ საზღაურს და დაჯილდოვდებით. ასე რომ თაყვანისცემის დაწესება არის ნიშანი იმისა, რომ ალლაჰმა პატივი დაგდო ამ სამყაროში. და ვინ არის ის, ვინც თაყვანისცემისგან სარგებელს მიიღებს? სარგებელს მხოლოდ თაყვანისცემელი მიიღებს და ალლაჰის დიდებულებას ვერავის თაყვანისცემა ვერ შეჰმატებს დიდებას. თუკი შეიმეცნე, რომ ალლაჰმა შეგქმნა მისადმი თაყვანისცემისთვის, მაშინ იცოდე, რომ თაყვანისცემა არ არის სწორი თუ ის არ აკმაყოფილებს ორ პირობას. თუ ამ ორთაგან რომელიმე პირობა არ არის შესრულებული, მაშინ თაყვანისცემა მიუღებელია.

პირველი პირობა:

თაყვანისცემა უნდა შესრულდეს მხოლოდ ალლაჰის მიმართ შირქის გარეშე.

თუ შირქი შეერია თაყვანისცემაში, მაშინ ის უარყოფილია.

ასევე, თუ თაყვანს სცემდით ღმერთს და შემდეგ ჩაიდინეთ შირქი, თქვენი თაყვანისცემის სიკეთე გაუქმდება. (ე.ი ყველაფერი წაიშლება).

მეორე პირობა:

ალლაჰის შუამავლის სუნნეთზე მიყოლა.

ნებისმიერი რელიგიური მოქმედება, რომელიც არ არის დაფუძნებული ალლაჰის შუამავლის სწავლებაზე, მცდარი და უარყოფილია რადგან ეს არის სიახლე (ბიდ'ა) ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალაამი მას) თქვა:

'ვინც გააკეთებს ისეთ რამეს, რაზეც არ იყო ჩვენი ბრძანება - უარყოფილი იქნება.' კიდევ ერთი გადმოცემა:

'ვინც გამოიგონებს სიახლეს (რელიგიის) საქმეში, უარყოფილი იქნება'
ასე რომ თაყვანისცემა უნდა შეესაბამებოდეს იმას, რითაც მოვიდა ალლაჰის
შუამავალი და არა ადამიანების სურვილებს, ზრახვებს და მიზნებს. თუ რამე რელიგიურ
საქმეზე არ არის მტკიცებულება შარიათიდან, მაშინ ეს არის სიახლე.
რელიგიაში სიახლის გამოგონება ან შესრულება ცოდვას მაშინაც კი, თუ ვინმე
ფიქრობს რომ ეს ალლაჰთან აახლოვებს. ასე რომ აუცილებელია ღვთისმსახურება ამ
ორ პირობას შეესაბამებოდეს;

(I) გულწრფელ თაყვანისცემას (ე.ი შირქის გამორიცხვით)

(II) ალლაჰის შუამავლის სუნნეთის მიმდევრობას.

ეს ორი პირობა უნდა შესრულდეს რათა თაყვანისცემა იყოს სწორი და სარგებლიანი,
რადგან თუ მასში შეერეულია შირქი, მაშინ თაყვანისცემა უქმდება და ეს არის სიახლე,
რომელსაც არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია. ამ ორი პირობის შეუსრულებლობა
ენინააღმდეგება ალლაჰის დაკანონებულს. ალლაჰი არ იღებს არცერთ საქმეს, გარდა
იმისა, რაც მან თავის წიგნში დააკანონა მისი შუამავლის ენით. ალლაჰის ქმნილებებს
შორის შენ ვალდებული ხარ მიჰყვე ალლაჰის შუამავალს და არა სხვას. ალლაჰის
შუამავლის გარდა ყველას უნდა მიჰყვე და დაემორჩილო იმ შემთხვევაში, თუ ის
მიჰყვება შუამავლის კვალს. (ე.ი ნამდვილი ხალიფა/მმართველი) თუ იგი
ენინააღმდეგება შუამავალს, მაშინ არ ხარ ვალდებული მას დაემორჩილო. ალლაჰმა
თქვა:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا أَطِيعُوا اللَّهَ وَأَطِيعُوا الرَّسُولَ وَأُولَى الْأَمْرِ مِنْكُمْ

*ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაემორჩილეთ ალლაჰს და დაემორჩილეთ
შუამავალს და ხელმძღვანელს (არაბ: ამრუ (ამირი) თქვენს შორის ... (ნისა 4:59)*

ხელმძღვანელს თქვენს შორის'

ამ აიათში ნაგულისხმები არიან მმართველები და სწავლულები. თუ ისინი
ემორჩილებიან ალლაჰს, მაშინ საჭიროა მათდამი მორჩილება. თუ ალლაჰის
ბრძანების წინააღმდეგ წავლენ, მაშინ მათ არ უნდა დაემორჩილო. რადგან არავის არ
უნდა დაემორჩილო თვალდახუჭული გარდა ალლაჰის შუამავლისა. გაჰყევი მათ, თუ
ისინი მიჰყვებიან შუამავალს, და ეს არის სწორი თაყვანისცემა. თუ შეიმეცნე, რომ
როდესაც შირქი შეერევა თაყვანისცემაში, და ის აბათილებს ყველა თაყვანისცემას და
შირქის შემსრულებელი განწირულია მარადიული ცეცხლისთვის, მაშინ გააცნობიერებ
თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც უნდა შეისწავლო. ეს
საკითხები არის თავპიდი და შირქი. და შეისწავლე რათა განინმინდო შირქის
სიბინძურისგან. ალლაჰმა თქვა:

*უეჭველია, ალლაჰი არ მიუტევებს იმას, რომ მას თანაზიარი დაუდგინონ, და მიუტევებს
ამის გარდა ყველაფერს, ვისაც ინებებს. და ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, მაშინ
უდიდეს ცოდვას სჩადის! (ნისა 4:48)*

შირქის ცოდნა მოიცავს ოთხი საფუძვლის ცოდნას, რომლებიც ალლაჰმა ახსენა თავის
წიგნში. თქვენ უკვე გაიგეთ, რომ თავპიდი არის ალლაჰის გამორჩევა თაყვანისცემაში,
და თქვენგან არის მოთხოვნა, რომ გაიგოთ რა არის შირქი, რადგან ის ვინც არ იცის
რა არის შირქი, მასში ვარდება. ამგვარად, თქვენ უნდა იცოდეთ შირქის ტიპები, რათა
თავიდან აიცილოთ მასში ჩავარდნა, ვინაიდან ალლაჰმა გაგვაფრთხილა შირქზე და
თქვა:

إِنَّ اللَّهَ لَا يَغْفِرُ أَنْ يُشْرَكَ بِهِ وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذَلِكَ لِمَنْ يَشَاءُ ۚ وَمَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدِ افْتَرَىٰ
إِثْمًا عَظِيمًا

უეჭველია, ალლაჰი არ მიუტევებს იმას, რომ მას თანაზიარი დაუდგინონ, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ვისაც ინებებს. და ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის! (ნისა 4:48)

إِنَّهُ مَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدْ حَرَّمَ اللَّهُ عَلَيْهِ الْجَنَّةَ وَمَأْوَاهُ النَّارُ ۖ وَمَا لِلظَّالِمِينَ مِنْ أَنْصَارٍ

...უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლოებს შემწეები. (მაიდე 5:72)

შირქი უდიდესი საფრთხეა და თქვენგან საჭიროა ამ საფრთხის შესწავლა. შირქი არის ადამიანის ინტელექტის და სწორად აზროვნების დამაბრკოლებელი. საჭიროა იცოდეთ შირქის მნიშვნელობა ალლაჰის წიგნიდან და სუნნეთიდან. ალლაჰმა ახსნა რა არის შირქი ყურანში და შუამავალმაც (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) მკაფიოდ განმარტა შირქის მნიშვნელობა. ასე რომ, თუ გვინდა ვიცოდეთ რა არის შირქი, უნდა დავუბრუნდეთ ყურანს და სუნნას და არ მივმართოთ სხვა წიგნებს.

შირქის პირველი საფუძველი

ურწმუნოები, რომლებსაც ებრძოდა ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ადასტურებდნენ ალლაჰის ბატონობას, (ე.ი რუბუბიას), და რომ ალლაჰი არის ყოველი საქმის შემოქმედი და განმგებელი, მაგრამ მათმა დადასტურებამ ისინი ვერ შეიყვანა ისლამში, და ამის დასტურია ალლაჰის სიტყვები:

قُلْ مَنْ يَرْزُقُكُمْ مِّنَ السَّمَاءِ وَالْأَرْضِ أَمَّنْ يَمْلِكُ السَّمْعَ وَالْأَبْصَرَ وَمَنْ يُخْرِجُ الْحَيَّ مِنَ الْمَيِّتِ وَيُخْرِجُ الْمَيِّتَ مِنَ الْحَيِّ وَمَنْ يُدَبِّرُ الْأَمْرَ ۚ فَسَيَقُولُونَ اللَّهُ ۚ فَقُلْ أَفَلَا تَتَّقُونَ

უთხარი: ვინ გაძლევთ თქვენ სარჩოს ციდან და მიწიდან? ან ვინ ფლობს სმენასა და თვალთახედვას?! ვის გამოჰყავს ცოცხალი მკვდრისაგან და ვის გამოჰყავს მკვდარი ცოცხალისაგან?! ვინ განაგებს საქმეებს?! იტყვიან: ალლაჰიო. და უთხარი: განა არ გეშინიათ? (იუნუს 10:31)

ურწმუნოები, რომლებსაც ებრძოდა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ადასტურებდნენ რუბუბია თავჰიდს, მაგრამ მათ მიერ რუბუბია თავჰიდის დადასტურებამ ისინი ისლამში ვერ შეიყვანა და მათი სისხლი და ქონება დაცული ვერ გახადა. ეს ადასტურებს, რომ თავჰიდი არ არის მხოლოდ რუბუბიას დამტკიცება და შირქი არ არის მხოლოდ თუ ვინმეს მიანიჭებ გამჩენის, მასაზრდოებელის და სხვა თვისებას. უფრო მეტიც, არასოდეს ყოფილა ისეთი ვინმე, ვინც შირქს ჩაიდენდა რუბუბია თავჰიდის კუთხით, ზოგიერთი უცნაური ქმნილებების გარდა. რუბუბიას თავჰიდი ნიშნავს - ალლაჰია გამჩენი, სარჩოს მომცემი, მაცოცხლებელი და სულების წამყვანი (ე.ი ვინც ადგენს სიკვდილის დროს). ქმნილებეთაგან არავინაა ისეთი, ვინც ამტკიცებს, რომ არის ვინმე სხვა ვინც ქმნის, იძლევა სარჩოს, იძლევა სიცოცხლეს და

მიჰყავს ქმნილებათა სულები. პირიქით, ურწმუნოები ამტკიცებდნენ, რომ ალლაჰი არის გამჩენი და სარჩოს მომცემი. ამის მტკიცებულება არის ალლაჰის სიტყვა:

وَلَيْن سَأَلْتَهُمْ مَنْ خَلَقَ السَّمَوَاتِ وَالْأَرْضَ لَيَقُولُنَّ اللَّهُ

თუ ჰკითხავ: ვინ შექმნა ცანი და მიწა? გიპასუხებენ - ალლაჰმა... (ლუყმან 31:25)

قُلْ مَنْ رَبُّ السَّمَوَاتِ السَّبْعِ وَرَبُّ الْعَرْشِ الْعَظِيمِ سَيَقُولُونَ لِلَّهِ

ჰკითხე: „ვინ არის ღმერთი შვიდი ზეცისა და დიდებული 'არშისა?'“ იტყვიან: „ალლაჰიო!“ უთხარი: „განა არ გეშინიათ? (მუმიუნუნ 23:86-87)

მუმიუნუნის სურაში ნახავთ, რომ ურწმუნოები ამტკიცებენ რუბუბიას თავჰიდს. ამრიგად, თავჰიდი არ არის მხოლოდ რუბუბია როგორც ამას ამტკიცებენ ქელამის მეცნიერები (ენათმეცნიერები). ისინი ამტკიცებენ, რომ თავჰიდის დადასტურება არის მხოლოდ ის, რომ ალლაჰი არის შემოქმედი/გამჩენი, სარჩოს მომცემი, სიცოცხლისა და სიკვდილის მომცემი. ისინი ამბობენ:

'ის ერთია და არ შეიძლება მისი გაყოფა, ის ერთია თავის თვისებებში და არაფერია მისი მსგავსი, ის არის ერთადერთი თავის ქმედებებში და მას თანასწორი არ ჰყავს'

ეს არის თავჰიდის განმარტება ქელამის მეცნიერებთა მიერ. მათ მხოლოდ რუბუბია თავჰიდის ნაწილი განიხილეს და არა სრული თავჰიდი. თუ თქვენ ნახავთ ქელამის მეცნიერების წიგნებს, ნახავთ, რომ ისინი არ სცილდებიან თავჰიდ არ-რუბუბიას.

თავჰიდ არ-რუბუბია არ არის ის თავჰიდი, რომლითაც ალლაჰმა გაგზავნა შუამავლები და მხოლოდ ამ სახის თავჰიდის დადასტურება არ მოუტანს სარგებელს არავის, რადგან ურწმუნოებიც და მათი ლიდერებიც ამტკიცებდნენ ამ სახის თავჰიდს, მაგრამ ამ დადასტურებამ ვერ გამოიყვანა ისინი ურწმუნოებიდან და ვერ შეიყვანა ისლამში. ასე რომ, ქელამის მეცნიერთა ხედვით თავჰიდის განსაზღვრა დიდი შეცდომაა. ვისაც მხოლოდ რუბუბია თავჰიდის სწამს, მას იმაზე მეტი არ სწამს რაც აბუ ჯაჰლს და აბუ ლაჰაბს. დღეს ზოგიერთი მასწავლებელი ჩერდება მხოლოდ ამ სახის თავჰიდზე და არც კი ეხება ულუჰია თავჰიდს. (ულუჰია თავჰიდი იმის დადასტურება, რომ მხოლოდ ალლაჰია თავყვანისცემის ღირსი) ეს არის დიდი შეცდომა და უსამართლობა თავჰიდის საკითხის მიმართ. ისინი შირქს განსაზღვრავენ შემდეგი სიტყვებით: 'შირქი არის ის, როცა გჯერავს, რომ ვიღაც ქმნის ალლაჰის გარდა'. ჩვენ ვეტყვით მათ, რომ ეს არის აბუ ჯაჰლის და აბუ ლაჰაბის ნათქვამი. მათ არ სჯეროდათ, რომ ვიღაც ქმნის ალლაჰის გარდა. პირიქით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ალლაჰი არის შემოქმედი, სარჩოს მომცემი, სიცოცხლისა და სიკვდილის მომცემი.



შირქის მეორე საფუძველი

არაბი წარმართები ამბობდნენ: 'ჩვენ არ ვეთაყვანებით მათ (ე.ი ცრუ ღვთაებებს) თუ არა იმისათვის, რომ გვიშუამდგომლონ და დაგვაახლოვონ ალლაჰთან' ამის დამადასტურებელი არის ალლაჰის სიტყვები ყურანიდან:

أَلَا لِلَّهِ الدِّينُ الْخَالِصُ ۚ وَالَّذِينَ اتَّخَذُوا مِنْ دُونِهِ أَوْلِيَاءَ مَا نَعْبُدُهُمْ إِلَّا لِيُقَرِّبُونَا إِلَى اللَّهِ زُلْفَىٰ إِنَّ اللَّهَ يَحْكُمُ بَيْنَهُمْ فِي مَا هُمْ فِيهِ يَخْتَلِفُونَ ۗ إِنَّ اللَّهَ لَا يَهْدِي مَنْ هُوَ كَاذِبٌ كَفَّارٌ

'ჭეშმარიტად, ხალახი რწმენა ალლაჰისაა! ისინი კი, რომელთაც აიყვანეს მის გარდა მფარველები(ამბობენ): არ ვეთაყვანებით მათ, თუ არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვაახლოვონ ალლაჰთან სიახლოვეთ. ჭეშმარიტად, ალლაჰი განსჯის მათ შორის იმას, რაშიც ვერ თანხმდებოდნენ. ალლაჰი არ დაადგენს სწორ გზაზე იმას, ვინც მატყუარა, უმადურია.' (ზუმერ 39:3)

ასე რომ წარმართებს, რომლებსაც ეწოდათ წარმართები (ე.ი მუშრიქები) ალლაჰის მიერ და გაცხადდა, რომ სამუდამოდ დარჩებოდნენ ჯოჯობეთში, არ ჩაუდენიათ შირქი რუბუბია თავკიდის კუთხით. (ე.ი არ სწამდათ რომ ალლაჰის გარდა ვინმე არის გამჩენი და ა.შ) პირიქით, მათ ჩაიდინეს შირქი ალლაჰის თაყვანისცემაში, ე.ი ულუპია თავკიდის კუთხით. ისინი არ აცხადებდნენ, რომ მათი უფროსები და ბატონები ქმნიან, ან მოაქვთ სარგებელი და მოაქვთ ზარალი ან მართავენ სამყაროს საქმეებს. არამედ მათ თავიანთი ცრუ სათაყვანო ღვთაებები დაიდგინეს შუამდგომლებად, როგორც ალლაჰი ამბობს მათ შესახებ:

وَيَعْبُدُونَ مِنْ دُونِ اللَّهِ مَا لَا يَضُرُّهُمْ وَلَا يَنْفَعُهُمْ وَيَقُولُونَ هَؤُلَاءِ شَفَعُونَا عِنْدَ اللَّهِ ۚ قُلْ أَتَسُبُّونَ اللَّهَ بِمَا لَا يَعْلَمُ فِي السَّمَوَاتِ وَلَا فِي الْأَرْضِ ۗ سُبْحٰنَهُ وَتَعٰلٰى عَمَّا يُشْرِكُونَ

'და ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა იმას, რომელიც არც აზარალებთ და არც არგებთ. და ამბობენ: ესენი ჩვენი შუამდგომელები არიან ღმერთის წინაშეო...' (იუნუს 10:18)

სიტყვები - 'არც აზარალებთ და არც არგებთ.' მიუთითებს, რომ წარმართებმა იციან, რომ მათ, ვისაც თაყვანს სცემენ, არ იძლევიან სარგებელს ან ზარალს. მათ მიიღეს ისინი შუამდგომლებად ალლაჰის წინაშე მათი სურვილების შესასრულებლად. წარმართები ეთაყვანებოდნენ მათ ცრუ ღვთაებებს მაგრამ არ ჰქონიათ იმის რწმენა, რომ მათი სათაყვანონი ქმნიდნენ, უზრუნველყოფდნენ, იძლეოდნენ სარგებელს ან ზარალს. პირიქით, მათ მხოლოდ სწამდათ, რომ მათი სათაყვანონი შუამდგომლობდნენ ალლაჰთან. (ე.ი სჯეროდათ რომ შაფა'ათს გაუნვდნენ). და ეს იყო მათი ურწმუნოების ერთ-ერთი მიზეზი. თუ დღევანდელ საფლავთაყვანისმცემელთან კამათს აპირებთ, გახსოვდეთ, რომ ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ არაბი წარმართების ფრაზებს: 'მე ვიცი, რომ ეს ვალი (ევლიას მხოლოდითი) ან მართალი კაცი ზიანის და სარგებლის მომტანი არ არის, მაგრამ ის მართალი ადამიანია და მე მინდა, რომ მან ჩემი სახელით ალლაჰთან იშუამდგომლოს.' შუამდგომლობა (შაფა'ათი) ორი სახისაა:

- (ა) დაშვებული შაფა'ათი.
- (ბ) აკრძალული შაფა'ათი.

დაშვებული შაფა'ათი არის ის, რომელიც ასრულებს ორ პირობას:

I) შაფაათი ხდება მხოლოდ ალლაჰის ნებართვით.

II) პიროვნება, ვინც ითხოვს შაფა'ათს ალლაჰისგან, თვითონ უნდა იყოს თავპიდის ხალხიდან, ის შეიძლება იყოს ცოდვილი, მაგრამ უნდა იყოს თავპიდის მორწმუნე. თუ ეს ორი პირობა არ სრულდება, მაშინ მას არ გაენევა შაფა'ათი. ალლაჰი ამბობს:

مَنْ ذَا الَّذِي يَشْفَعُ عِنْدَهُ إِلَّا بِإِذْنِهِ

...მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა მისი ნება... (ბაყარა 2:255)

لَا يَشْفَعُونَ إِلَّا لِمَنْ أَرْتَضَىٰ وَهُمْ مِنْ خَشِيَّتِهِ مُشْفِقُونَ

...ისინი კი არ შუამდგომლობენ, თუ არა მხოლოდ იმისათვის, ვისითაც იგი (ალლაჰი) კმაყოფილია... (ენბია 21:28)

ასე რომ რომლებიც ითხოვენ შაფა'ათს ალლაჰისგან, უნდა იყვნენ თავპიდის მიმყოფლები, თუნდაც ცოდვილები იყვნენ (ვინაიდან შესაძლოა იყოს მორწმუნე ცოდვებთან ერთად). მაგრამ რაც შეეხება ურწმუნოებს და წარმართებს, ვერ ისარგებლებენ შუამდგომლების შუამდგომლობით. ალლაჰი ამბობს:

وَأَنْذِرْهُمْ يَوْمَ الْأَزْفَةِ إِذِ الْقُلُوبُ لَدَى الْحَنَاجِرِ كَظْمِينَ^٤ مَا لِلظَّالِمِينَ مِنْ حَمِيمٍ وَلَا شَفِيعٍ يُطَاعُ

და გააფრთხილე ისინი მოახლოებული დღის თაობაზე, როცა გულები შიშით ყელში იქნებიან მიბჯენილნი. არ ეყოლებათ უსამართლოებს არც მეოხი და არც ქომაგი (შაფაათი), რომელსაც დაემორჩილებიან. (ლაფურ 40:18)

ხალხმა გაიგო შაფა'ათის შესახებ და ვერ გაიგეს მისი მნიშვნელობა. მათ დაინყეს შაფაათის მოთხოვნა ხალხისგან ალლაჰის ნებართვის გარეშე. მათ არ იციან დაშვებული და აკრძალული შაფა'ათის საკითხები. როგორც ვთქვით, შაფა'ათი ორგვარია; დაშვებული და აკრძალული. აკრძალული შაფა'ათი არის ის, რომელსაც ეძიებენ ალლაჰის გარდა სხვასთან, რომლის აღსრულება მხოლოდ ალლაჰს შეუძლია და ამის დამადასტურებელი არის ალლაჰის სიტყვები:

يَأْتِيهَا الَّذِينَ ءَامَنُوا أَنفِقُوا مِمَّا رَزَقْنَاكُمْ مِّن قَبْلِ أَنْ يَأْتِيَ يَوْمٌ لَا بَيْعَ فِيهِ وَلَا خُلَّةٍ وَلَا شَفَاعَةٍ^٥ وَالْكَافِرُونَ هُمُ الظَّالِمُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიღეთ (გახარჯეთ) რაც თქვენ გიბოძეთ იქიდან, სანამ მოსულა დღე, რომელშიც არც ვაჭრობა, არც მეგობრობა და არც შუამდგომლობა არ იქნება. და ურწმუნონი უსამართლონი არიან. (ბაყარა 2:254)

დაშვებული შაფა'ათი არის ის, რასაც ითხოვენ ალლაჰისგან. შუამდგომლობას მხოლოდ ის დაიმსახურებს ვისი საქმითაც და სიტყვითაც კმაყოფილია ალლაჰი, და ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ალლაჰი შუამდგომელს მისცემს შუამდგომლობის ნებართვას, როგორც ალლაჰმა თქვა:

مَنْ ذَا الَّذِي يَشْفَعُ عِنْدَهُ إِلَّا بِإِذْنِهِ

...მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა მისი ნება...
(ბაყარა 2:255)

შაფაათს აქვს შეზღუდვები: შაფა'ათი რომელიც აკრძალულია ალლაჰის მიერ არის შაფა'ათი ალლაჰის ნებართვის გარეშე. ვერავინ იშუამდგომლებს ალლაჰთან მისი ნებართვის გარეშე. ქმნილებათა შორის საუკეთესო, შუამავალთა ბეჭედი მუჰამმადი, როდესაც ისურვებს გაუწიოს შუამდგომლობა მათ, ვინც განკითხვის დღეს იდგებიან განკითხვისთვის, შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) წავა სეჯდებზე მისი ღმერთის წინაშე, მოუხმობს მას, განადიდებს და დარჩება სეჯდებზე მანამ, სანამ არ ეტყვიან: 'ასნიე თავი, ილაპარაკე და შესმენილ იქნება, იშუამდგომლე და შენი შუამდგომლობა მიღებულ იქნება' (საჰიჰ ალ-ბუხარი 7510)

ასე რომ, შუამავალი მუჰამმადიც კი ვერ იშუამდგომლებს ალლაჰის ნებართვის გარეშე. ის, ვინც საფლავებისგან ითხოვს ისტიმფას (შაფა'ათს) და საფლავებზე აღთქმას დებს, არის შირქში მყოფი (ე.ი მუშრიქი). მოკლედ რომ ვთქვათ, აკრძალული შაფა'ათი არის, რომელსაც ითხოვენ (ან ეძებენ) ალლაჰის ნებართვის გარეშე ან ითხოვენ მუშრიქისთვის. დაშვებული შაფა'ათი კი არის რომელსაც ალლაჰის ნებართვის შემდეგ მოითხოვენ თავპიდის ხალხისთვის.

შირქის მესამე საფუძველი

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) მივიდა ხალხთან, რომელთა თაყვანისცემა განსხვავდებოდა; ზოგი მათგანი ეთაყვანებოდა ანგელოზებს, სხვები კი შუამავლებს და გარდაცვლილ მორწმუნეებს, ზოგიერთი ქვებს და ხეებს ეთაყვანებოდა, ზოგიც კი მზეს და მთვარეს, მაგრამ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) მათ შორის განსხვავებას არ აკეთებდა. (ყველას საერთო წოდება ჰქონდა - ურწმუნო) მესამე საფუძველში საუბარია იმაზე, რომ შუამავალი გაგზავნილი იყო ხალხთან, რომლებიც იყვნენ წარმართები (მუშრიქები), მათ შორის იყვნენ ისეთები, ვინც თაყვანს სცემდა ანგელოზებს, მზეს, მთვარეს, ხოლო სხვები თაყვანს სცემდნენ ევლიებს და მართლმორწმუნეებს. შირქში მყოფების ბოროტება ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ გაერთიანდნენ რაიმე საკითხზე, განსხვავებით მუვაჰიდებისგან, რომელთა სათაყვანებელი ერთია. ალლაჰი ამბობს:

يُصْحَبِي السَّجْنِ أَرْبَابٌ مُتَفَرِّقُونَ خَيْرٌ أَمْ اللَّهُ الْوَحْدُ الْقَهَّارُ

ჰეი, ჩემო დილეგის მეგობრებო! განა სხვადასხვა ღვთაებები უმჯობესია, თუ ალლაჰი, ერთადერთი ძლევამოსილი?!

مَا تَعْبُدُونَ مِنْ دُونِهِ إِلَّا أَسْمَاءٌ سَمَّيْتُمُوهَا أَنْتُمْ وَآبَاءُكُمْ مِمَّا أَنْزَلَ اللَّهُ بِهَا مِنْ سُلْطَانٍ ۗ إِنْ أَحْكُمُ إِلَّا لِلَّهِ ۗ أَمَرَ أَلَّا تَعْبُدُوا إِلَّا إِيَّاهُ ۗ ذَٰلِكَ الدِّينُ الْقَيِّمُ وَلَكِنَّ أَكْثَرَ النَّاسِ لَا يَعْلَمُونَ

და არ ეთაყვანებით მის გარდა არაფერს, გარდა სახელებისა, რომლებიც დაარქვით თქვენ და თქვენმა მამებმა, ალლაჰს კი მათთვის არ გარდმოუვლენია მტკიცებულება. ჭეშმარიტად, მსჯავრი ალლაჰისაა, რომელმაც გიბრძანათ, რომ არაფერს ეთაყვანოთ მის გარდა. ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება, თუმცა ხალხთაგან უმეტესმა არ იცის. (იუსუფ 12:39-40)

ასე რომ, შირქის ერთ-ერთი უაზრო და უარყოფითი მხარე ის არის, რომ მისი ხალხი სხვადასხვა სულიერ თუ უსულო არსებებს ეთაყვანება და ისინი ამაშიც არ არიან ერთიანნი, ვინაიდან არ იცავენ რაიმე წესს. ისინი მხოლოდ მიჰყვებიან თავიანთ სურვილებს და ასევე იწვევენ შირქისკენ ხალხს და შეცდომაში შეჰყავთ, და ასე იზრდება მათ შორის განსხვავებები. ალლაჰმა თქვა ყურ'ანში:

ضَرَبَ اللَّهُ مَثَلًا رَجُلًا فِيهِ شُرَكَاءُ مُتَشَاكِسُونَ وَرَجُلًا سَلَمًا لِرَجُلٍ هَلْ يَسْتَوِيَانِ مَثَلًا
الْحَمْدُ لِلَّهِ ۚ بَلْ أَكْثَرُهُمْ لَا يَعْلَمُونَ

მაგალითად მოიყვანა ალლაჰმა კაცი, რომელიც მოურიგებელი მოწილენის ხელშია და კაცი რომელიც მხოლოდ ერთ ადამიანის ბრძანებაზე არის დამოკიდებული. ნუთუ მაგალითად შესადარები არიან? ქება-დიდება ალლაჰს, მაგრამ მათი უმრავლესობა არ უწყიან. (ზუმერ 39:29)

ვინც ეთაყვანება მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ ღმერთს (ე.ი მუვაჰიდი) ემსგავსება მსახურს, რომელიც ემსახურება მხოლოდ ერთ ადამიანს, რომელიც კმაყოფილია მისით. მსახურმა იცის თავისი უფროსის მოთხოვნები და ასრულებს კიდევ მის მოთხოვნებს. წარმართი (მუშრიქი) ჰგავს იმას, ვისაც ბევრი უფროსი ჰყავს, და მან არ იცის ვისი მოთხოვნა შეასრულოს რადგან თითოეულს აქვს თავისი სურვილები, მოთხოვნები და ინტერესები. თითოეულს სურს, რომ მისი მონა მასთან მივიდეს. ამიტომაც თქვა ალლაჰმა:

მაგალითად მოიყვანა ალლაჰმა კაცი, რომელიც მოურიგებელი მოწილენის ხელშია და კაცი რომელიც მხოლოდ ერთ ადამიანის ბრძანებაზე არის დამოკიდებული. ნუთუ მაგალითად შესადარები არიან? ქება-დიდება ალლაჰს, მაგრამ მათი უმრავლესობა არ უწყიან. (სურა ზუმერ 39:29)

რაც იმას ნიშნავს, რომ ის ბევრი ადამიანის საკუთრებაა და მან არ იცის ვისი მოთხოვნები შეასრულოს. ალლაჰის მიერ ნახსენები მსგავსება არის მუშრიქისა და მუვაჰიდის მსგავსი. წარმართები განსხვავდებოდნენ მათი თაყვანისცემით და შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ებრძოდა მათ და არ აკეთებდა მათ შორის განსხვავებას. ის ებრძოდა კერპთაყვანისმცემლებს, იუდეველებსა და ქრისტიანებს, ის ებრძოდა მაზდეანებს (ცეცხლთაყვანისმცემლებს), ებრძოდა ყველა წარმართს, ის ასევე ებრძოდა მათ, ვინც ეთაყვანებოდა ანგელოზებს, ევლიებს და მართლმორწმუნეებს და მათ შორის არ აკეთებდა განსხვავებას. ზემოთ ხსენებულში არის უარყოფა მათი, ვინც ამბობს: 'ვინც ეთაყვანება კერპს, არ ჰგავს მას, ვინც ეთაყვანება მართალ კაცს ან ანგელოზს, რადგან პირველი ეთაყვანება ქვებს, ხეებს და უსულო საგნებს. ხოლო მეორე ეთაყვანება ღვთისმოსავ ადამიანს და ევლია ადამიანი კერპს არ ჰგავს.' ამ ცრუ დასაბუთებით ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დღეს საფლავთაყვანისმცემლების განჩინება (ჰუქმი) განსხვავდება იმათგან, ვინც თაყვანს სცემდა კერპებს. მათი ცრუ დასაბუთებით არ უნდა გამოცხადდეს ურწმუნოდ საფლავმოთაყვანე და მისი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს შირქის ქმედებად და დაუშვებლად ჩაითვალოს მათთან ბრძოლა. ჩვენ მათ ვეტყვით, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) არ ანსხვავებდა მათ, არამედ ყველა მათგანს წარმართებად (მუშრიქებად) თვლიდა და იბრძოდა მათ წინააღმდეგ. იყვნენ ისეთები, ვინც ეთაყვანებოდა 'ისას (იესოს) და ის იყო ალლაჰის ერთ-ერთი დიდი შუამავალი, მაგრამ, ჩვენი შუამავალი იმათთან იბრძოდა, ვინც 'ისას ეთაყვანებოდა. იუდეველები ეთაყვანებოდნენ უზეირს, რომელიც იყო მათი შუამავლებიდან ან მართალ ადამიანთაგან, მაგრამ ჩვენი შუამავალი ებრძოდა მათ. შესაბამისად, არ არსებობს განსხვავება შირქთან დაკავშირებით, ეთაყვანება ანგელოზს, შუამავალს,

მართალ ადამიანს, კერძს, ქვებს თუ ხეებს, რადგან ყველა შემთხვევაში შირქია ალლაჰის გარდა სხვაზე თაყვანისცემა. ალლაჰი ამბობს:

وَأَعْبُدُوا اللَّهَ وَلَا تُشْرِكُوا بِهِ شَيْئًا

თაყვანი ეცით ალლაჰს და არავინ დაუდგინოთ მას თანაზიარად... (სურა ნისა 4:36)

სიტყვა 'შეიან' (ე.ი არავინ/არაფერი) მოხსენიებულია უარყოფის კონტექსტში და ის მოიცავს ყველაფერს. მოიცავს ყველას, ვინც ალლაჰის თანაზიარია, იქნებიან ისინი ანგელოზები, შუამავლები, მართლები, ღვთისმოსავები, ქვები თუ ხეები. ალლაჰმა თქვა:

وَقَاتِلُوهُمْ حَتَّىٰ لَا تَكُونَ فِتْنَةٌ وَيَكُونَ الدِّينُ كُلُّهُ لِلَّهِ ۚ فَإِنِ انْتَهَوْا فَإِنَّ اللَّهَ بِمَا يَعْمَلُونَ
بَصِيرٌ

და შეებრძოლეთ მათ, ვიდრე არ გაქრება ცდუნება და არ იქნება მთლიანად ალლაჰის სარწმუნოება. ხოლო თუ ხელს აიღებენ, ალლაჰი ხედავს, რასაც აკეთებენ. (ანფალ 8:39)

ე.ი წარმართებთან ბრძოლის არგუმენტი არის მათი შირქი განსხვავების გარეშე. 'შეებრძოლეთ მათ' ეს მოწოდება ზოგადია ყველა წარმართისთვის გამონაკლისის გარეშე, შემდეგ ალლაჰმა თქვა: 'ვიდრე არ გაქრება ცდუნება (ფიტნა)'. აქ ნახსენები ფიტნა არის შირქი, და ეს არის ზოგადი, რომელიც მოიცავს შირქის ნებისმიერ ფორმას, იქნება ის შირქი ევლიის, მართლმორწმუნის, ქვების, ხეების, მზის თუ მთვარის მიმართ. შემდეგ ალლაჰმა თქვა: 'და არ იქნება მთლიანად ალლაჰის სარწმუნოება' - ეს კი ნიშნავს, სანამ არ იქნება ყველა თაყვანისცემა მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ ღმერთზე მიძღვნილი თანაზიარისა და თანასწორის დადგენის გარეშე. ასე რომ, არ არსებობს შირქის ტიპებს შორის განსხვავება. ალლაჰმა თქვა:

وَمِنْ آيَاتِهِ اللَّيْلُ وَالنَّهَارُ وَالشَّمْسُ وَالْقَمَرُ ۚ لَا تَسْجُدُوا لِلشَّمْسِ وَلَا لِلْقَمَرِ وَاسْجُدُوا لِلَّهِ
الَّذِي خَلَقَهُنَّ إِن كُنتُمْ إِيَّاهُ تَعْبُدُونَ

მისი ნიშნებია ღამე და დღე, მზე და მთვარე. თაყვანი არ სცეთ არც მზეს და არც მთვარეს. თაყვანი ეცით ალლაჰს, რომელმაც შექმნა ისინი, თუკი მხოლოდ მას ეთაყვანებით.

(სურა ფუსილეთ 41:37)

ეს აიათი ადასტურებს, რომ იყვნენ ისეთები, ვინც ეთაყვანებოდა მზესა და მთვარეს, და ამ მიზეზით, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) აკრძალა ნამაზის ლოცვა მზის ჩასვლის და ამოსვლის დროს. მუსლიმანებს აკრძალული გვაქვს ლოცვა ამ ორ დროს, რათა ჩავკეტოთ შირქის კარი. მაშინაც კი, თუ მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის მიმართ ვლოცულობთ, მაინც აკრძალული გვაქვს ამ დროს ლოცვა, რადგან ამ დროს წარმართები ლოცულობენ და აკრძალულია მათზე მიბაძვა, და ამიტომ ჩვენ აგვეკრძალა ის ყველა გზა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს შირქის რომელიმე ფორმა.

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) მოვიდა შირქის აკრძალვით და აგვიკრძალა ყველა ის გზა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის შირქში შეყვანა. ალლაჰმა თქვა:

وَلَا يَأْمُرُكُمْ أَنْ تَتَّخِذُوا الْمَلَائِكَةَ وَالنَّبِيِّنَ أَرْبَابًا ۗ أَيَأْمُرُكُمْ بِالْكُفْرِ بَعْدَ إِذْ أَنْتُمْ مُسْلِمُونَ

და არც ის, რომ ებრძანოს თქვენთვის: ანგელოზი და შუამავალნი გაიხადოთ ღმერთებად. განა გიბრძანებთ ურწმუნოებას იმის მერე, რაც თქვენ მუსლიმნი გახდით?! (ალი იმრან 3:80)

ეს აიათი კი მოწმობს, რომ იყვნენ ისეთებიც, ვინც თაყვანს სცემდა ანგელოზებს და შუამავლებს და სწორედ ეს არის შირქი, და დღევანდელი საფლავთაყვანისმცემლები (ე.ი წარმართები) ამბობენ: 'ვინც ეთაყვანება ანგელოზებს, შუამავლებსა და მართლმორწმუნეებს, ურწმუნო არ არის.' ალლაჰმა თქვა: და ეტყვის ალლაჰი:

ჰეი 'ისა, შენ უთხარი ხალხს - დაგვადგინეთ მე და დედაჩემი ორ ღვთაებად ალლაჰის მაგივრად?! ეტყვის: დიდება შენდა! არასოდეს ყოფილა, მეთქვას ის, რისი უფლებაც არ გამაჩნია. და ეს რომ მეთქვა, გეცოდინებოდა კიდევაც. შენ უნცი რა არის ჩემში, მე კი არ ვიცი რა არის შენში. ჭეშმარიტად, შენა ხარ დაფარულთა მცოდნე. (მაიდე 5:116)

ამ აიათში დასტურია, რომ შუამავლებზე თაყვანისცემა არის შირქი, ისევე როგორც კერპების თაყვანისცემა არის შირქი. აქ ასევე არის საფლავთაყვანისმცემლების უარყოფა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შირქი არის მხოლოდ კერპების თაყვანისცემაო. მათი თქმით, ვინც ეთაყვანება ევლიას და მართლმორწმუნე ადამიანს, არ არის იმის მსგავსი, ვინც ეთაყვანება კერპებს და უარყოფენ მათ შორის რამე მსგავსებას და ამტკიცებენ, რომ შირქი მხოლოდ კერპების თაყვანისცემით შემოიფარგლებაო. ეს აშკარად მცდარი წარმოდგენაა ორი ასპექტის გათვალისწინებით;

I) ალლაჰმა დაგმო ყველა, მათ შორის ისინიც, ვინც თაყვანს სცემდა ევლიას და მართლმორწმუნეებს და ბრძანა მათთან ბრძოლა.

II) შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) არ ანსხვავებდა კერპების, ანგელოზების და მართალი ხალხის თაყვანისმცემელს ერთმანეთისგან. ალლაჰი ამბობს:

أُولَئِكَ الَّذِينَ يَدْعُونَ يَبْتَغُونَ إِلَىٰ رَبِّهِمُ الْوَسِيلَةَ أَيُّهُمْ أَقْرَبُ وَيَرْجُونَ رَحْمَتَهُ وَيَخَافُونَ عَذَابَهُ ۗ إِنَّ عَذَابَ رَبِّكَ كَانَ مَحْذُورًا

ისინი, რომლებიც უხმობენ ეძიებენ გზას თავიანთ ღმერთთან, რომელი უფრო ახლოსაა; იმედოვნებენ მის მოწყალეობას და ეშინიათ მისი სასჯელისა. შენი ღმერთის სასჯელი გასაფრთხილებელია. (ისრა 17:57)

ეს აიათი არის იმის მტკიცებულება, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ეთაყვანებიან მართლმორწმუნეებს. ნათქვამია, რომ ეს აიათი მოევლინა მათ შესახებ, ვინც ეთაყვანებოდა 'ისას, დედამისს და უზეირს. ასე რომ, ალლაჰმა აცნობა მათ, რომ 'ისა, დედამისი მარიამი და უზეირი ყველანი არიან ალლაჰის მსახურები და ისინი ეძიებენ ალლაჰთან სიახლოვეს, აქვთ მისი წყალობის იმედი და ეშინიათ მისი სასჯელის. ასე რომ, ისინი მხოლოდ ალლაჰის მსახურები არიან, რომლებსაც სჭირდებათ ღმერთი, ვინაიდან ღარიბები არიან ღმერთის წინაშე. ისინი ევედრებიან ღმერთს და ეძებენ ვასილას (საშუალებას) მისადმი მორჩილების მეშვეობით. 'ეძიებენ გზას თავიანთ ღმერთთან'

რაც ნიშნავს სიახლოვეს ღმერთისადმი მორჩილებითა და თაყვანისცემით. ეს კი ადასტურებს, რომ ისინი (მართლმორწმუნეები) არ იმსახურებენ თაყვანისცემას,

რადგან ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ ალლაჰი, მოუხმობენ ალლაჰს, სურთ მისი წყალობა და ეშინიათ მისი სასჯელის, და მართლმორწმუნე ხალხი არ იმსახურებს თაყვანისცემას ალლაჰთან ერთად. ასევე ნათქვამია, რომ ეს აიათები მოეწვინა ზოგიერთი წარმართის შესახებ, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ჯინების ჯგუფს. ჯინებმა მიიღეს ისლამი და წარმართებმა არ იცოდნენ მათი ისლამის შესახებ. ჯინებმა დაიწყეს ალლაჰთან სიახლოვის ძიება მორჩილებით, სურდათ მისი წყალობა და ეშინოდათ მისი სასჯელის. ისინი არიან მსახურები და მათ სჭირდებათ ალლაჰი, და ისინი არ იმსახურებენ თაყვანისცემას. ამ ორი შემთხვევიდან, რომელიც არ უნდა იყოს, აიათი ადასტურებს, რომ დაუშვებელია მართლმორწმუნეებისადმი თაყვანისცემა, იქნება ის შუამავალი, მართალი, ევლია თუ მართლმორწმუნე, ყველა შემთხვევაში აკრძალულია მათდამი თაყვანისცემა. ენობრივად ვასილას (საშუალების) სწორი მნიშვნელობა არის - ღმერთთან სიახლოვის ძიება მორჩილების გზით. რაც მიგიყვანთ ალლაჰის კმაყოფილებასთან და მის სამოთხესთან - არის საშუალების ძიება მორჩილების გზით, და ეს არის ნახსენები შემდეგ აიათში:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا اتَّقُوا اللَّهَ وَابْتَغُوا إِلَيْهِ الْوَسِيلَةَ وَجَاهِدُوا فِي سَبِيلِهِ لَعَلَّكُمْ تُفْلِحُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის, და მოძებნეთ საშუალება მასთან...(სურა მაიდე 5:35)

ისინი, ვინც ყურანის აიათების არასწორ ინტერპრეტაციას აკეთებენ, ასე ამბობენ: 'ვასილა არის შუამდგომელი მართალ ადამიანთაგან და ღვთისმოსავთაგან შენსა და ალლაჰს შორის, რათა მიგიყვანოს ალლაჰთან' მათი სიტყვები მსგავსია არაბი წარმართების სიტყვებისა, რომელიც ალლაჰმა გვაცნობა:

'...არ ვეთაყვანებით მათ, თუ არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვაახლოონ ალლაჰთან სიახლოვითო...' (სურა ზუმერ 39:3)

ვასილას მნიშვნელობა გზააბნეულების მიხედვით არის ის, რომ დაიდგინო შუამდგომელი შენსა და ალლაჰს შორის, რათა დაუახლოვდე ალლაჰს და მოგეცეთ თქვენი საჭიროებები და აცნობოს თქვენს შესახებ. ეს გზააბნეულები ისე იქცევიან, თითქოს ალლაჰმა არ იცის თქვენს შესახებ და ძუნნია, რომელიც არ გასცემს თუ შუამდგომლები არ თხოვენ მათ თქვენთვის. ისინი ხალხის გულებში ეჭვებს თესავენ და არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებენ ყურანის აიათებს. ალლაჰი ამბობს:

ისინი, რომლებიც უხმობენ ეძიებენ გზას თავიანთ ღმერთთან... (სურა ისრა 17:57)

ისინი ამტკიცებენ, რომ ეს აიათი ადასტურებს იმას, რომ დაშვებულია შუამდგომლის დადგენა ალლაჰსა და ადამიანს შორის, რადგან ალლაჰი ამ აიათში მათ აქებსო. სხვა აიათში კი ამბობსო:

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის, და მოძებნეთ საშუალება მასთან, და იბრძოლეთ მის გზაზე. რათა ეგების ნეტარ იქნეთ. (სურა მაიდე 5:35)

და ისინი ამბობენ: 'ალლაჰმა გვიბრძანა ვეძებოთ მასთან ვასილა და ვასილას მნიშვნელობა არის შუამდგომელი' ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ისინი არასწორად იგებენ ამ სიტყვებს. ჩვენ პასუხი მათზე არის ის, რომ ყურანში და სუნნეთში დადგენილი ვასილა არის მორჩილება, რომელიც აახლოვებს ადამიანს ალლაჰთან და ასევე მასთან სიახლოვის ძიება მისი უმშვენიერესი სახელებისა და თვისებების მეშვეობით. აი სწორედ ეს არის თავასულის (იგივე ვასილა) სწორი მნიშვნელობა. რას შეეხება თავასულს შუამდგომელის მეშვეობით, არის აკრძალული ფორმა და წარმოადგენს შირქს, რომელსაც ასრულებენ მუშრიქები (წარმართები). ალლაჰმა თქვა მათ შესახებ:

وَيَعْبُدُونَ مِنْ دُونِ اللَّهِ مَا لَا يَضُرُّهُمْ وَلَا يَنْفَعُهُمْ وَيَقُولُونَ هَؤُلَاءِ شُفَعَاؤُنَا عِنْدَ اللَّهِ

და ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა იმას, რომელიც არც აზარალებთ და არც არგებთ.
და ამბობენ: ესენი ჩვენი შუამდგომელნი არიან ღმერთის წინაშეო...
(იუნუს 10:18)

ისინი კი, რომელთაც აიყვანეს მის გარდა მფარველები(ამბობენ):

არ ვეთაყვანებით მათ, თუ არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვაახლოონ ალლაჰთან
სიახლოვითო...(ზუმერ 39:3)

ასეთი სახის საშუალების ძიება არის შირქი. ალლაჰს არასოდეს დაუდგენია შირქი
მასთან მიახლოვების საშუალებად, პირიქით, მისგან ყოველთვის შორს იყო.
ალლაჰმა თქვა მათზე ვინც შირქს სჩადის:

إِنَّهُ مَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدْ حَرَّمَ اللَّهُ عَلَيْهِ الْجَنَّةَ وَمَأْوَاهُ النَّارُ وَمَا لِلظَّالِمِينَ مِنْ أَنْصَارٍ

...უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, იმას აუკრძალა ალლაჰმა
სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლოებს
შემწეები. (მაიდე 5:72)

ამ აიათიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება შირქი გახდეს ალლაჰთან
მიახლოვების საშუალება? დიდებულია ალლაჰი, რომელიც შორსაა იმისგან, რასაც
ისინი ამბობენ. ეს აიათი (ისრა 17:57) არის მტკიცებულება, რომ მუშრიქები არიან
ისინი, ვინც ეთაყვანება მარლთმორწმუნეებს, ვინაიდან ალლაჰმა ახსნა და
განმარტა, რომ ვისაც ისინი ეთაყვანებიან, არიან ღარიბი მსახურები. 'ეძიებენ გზას
თავიანთ ღმერთთან' ნიშნავს, რომ ისინი ეძებენ მასთან საშუალებას მორჩილების
გზით. ისინი ეთაყვანებიან ალლაჰს მათი სიღარიბისა და საჭიროებების გამო.
'იმედოვნებენ მის მონყალებას და ეშინიათ მისი სასჯელისა' ასე რომ, ვინც ასეთია,
ის არ არის თაყვანისცემის ღირსი. მტკიცებულება იმისა, რომ ხალხი ეთაყვანება
კლდეებს, ხეებს და კერპებს. ალლაჰი ამბობს:

أَفَرَأَيْتُمْ أَلَّتْ وَالْعُزَّىٰ وَمَنْوَةَ الثَّالِثَةَ الْآخِرَىٰ

განა გინახავთ თქვენ ალ-ლათი ან ალ-'უზბა? და სხვა, მესამე, მენათი?
(ნეჯმ 53:19-20)

ამ აიათებში დასტურია იმისა, რომ არიან მუშრიქები, რომლებიც ქვებსა და ხეებს
ეთაყვანებიან. ალლაჰის სიტყვები: 'განა გინახავთ' არის რიტორიკული კითხვა, რაც
ნიშნავს 'მაცნობე' და ეს არის უარყოფისა და გაკიცხვის ასპექტიდან. 'ლათი' იყო
კერპის სახელი ტაიფში. ეს იყო ქვისგან გამოთლილი კერპი, რომელიც იდგა
შენობაზე. იგი დაფარული იყო ქაბაბს მსგავსი ფარდებით და ირგვლივ ეზო იყო
თავისი მცველებით. ურწმუნოები თაყვანს სცემდნენ მას ალლაჰის ნაცვლად და ეს
კერპი ეკუთვნოდა საყიფის ტომს და მათთან მყოფ სხვა ტომებსაც რომლებიც
თაყვანს სცემდნენ ამ ქვის კერპს. ლათი იყო კაცის სახელი. ის იყო მართლმორწმუნე
კაცის, რომელიც დაატარებდა საკვებს და აპურებდა პილიგრიმებს. როდესაც ეს კაცი
გარდაიცვალა, მის საფლაგზე შენობა ააგეს და დაკიდეს მასზე ფარდები და დაინყეს
მისი თაყვანისცემა ალლაჰის მაგივრად. ალ-'უზბა იყო ფინიკის ხე კანიონში მექასა
და ტაიფს შორის, მის გარშემო იყო შენობები, ფარდები და მცველები. მასში იყვნენ
შაიტნები რომლებიც ელაპარაკებოდნენ ადამიანებს. უმეცრები ფიქრობდნენ, რომ
თვითონ ხეები ან მათ მიერ აგებული შენობა ელაპარაკებოდათ. თუმცა ეს იყო
შაიტანი, რომელიც მათ ელაპარაკებოდა რათა შეცდომაში შეეყვანა ისინი. ალ-'უზბას

კერპი ეკუთვნოდა ყურეიშელებს და მექას მოსახლეობას მათ ირგვლივ. მანათი იყო დიდი კლდე, რომელიც მდებარეობდა ყუდაიდის მთასთან, მექასა და მედინას შორის. მას თაყვანს სცემდა ხუბა'ას, ავსის და ხაზრაჟის ტომები. ჯაჰის პერიოდში, იჰრამის ტარების დროს, ალლაჰის ნაცვლად მას ეთაყვანებოდნენ. ესენი იყო არაბების სამი დიდი კერპი. ალლაჰმა თქვა ამათ შესახებ: **'განა გინახავთ ალ-ლათი და ალ'უზმა?'** რა სარგებელი მოგცათ მან? მოგანიჭათ მტერზე გამარჯვება? მან შეგქმნათ თქვენ და მოგცათ სიცოცხლე და მოგივლენთ სიკვდილს? ეს არის რიტორიკული შეკითხვა მათ მიმართ და გამოყენებულია უარყოფის და შეგონების კონტექსტში. უეჭველად, ესენი არის ხეები და კლდეები და მათზე თაყვანისცემაში არავითარი სარგებელი არ არის, რამეთუ ისინი მხოლოდ ალლაჰის ქმნილებებია. როდესაც ისლამი მოევლინა და შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) დაიპყრო მექა, მან გაგზავნა ალ-მულირა იბნ შუ'ბა და აბუ სუფიან იბნ ჰარბი ტაიფში და ორივემ დაანგრის ალ-ლათის კერპი. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) გაგზავნა ხალიდ ბინ ვალიდი 'უზმა და სასანგრევად. ხალიდმა დაანგრია იგი, მოჭრა ხეები და მოკლა ქალი ჯინი, რომელიც ხალხს ელაპარაკებოდა და შეცდომაში შეჰყავდა ისინი. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) გაგზავნა ალი იბნ აბი ტალიბი მანათის დასანგრევად და დაანგრია იგი. ასე რომ, კერპებმა ვერ გადაირჩინეს თავი, და როგორ შეძლებენ მისი თაყვანისმცემლების გადარჩენას? რა სარგებელი მოიტანა ალ-ლათმა, 'უზმამ და მანათმა? სად არიან ისინი ახლა? სარგებელი მოიტანეს? მათ ვერ შეძლეს მუვაჰიდების არმიისგან თავის გადარჩენა. ეს ისტორია იმის დასტურია, რომ არსებობდნენ ისეთები, ვინც თაყვანს სცემდა ხეებს და კლდეს. ალ-ლათი, 'უზა და მანათი იყო არაბების ყველაზე დიდი კერპები, რომელიც ალლაჰმა გაანადგურა. 'ამგვარად, შეიხმა დაამტკიცა, რომ იყვნენ ისეთები, ვინც ეთაყვანებოდა კლდეებს და ხეებს' სუბჰან ალლაჰ! ადამიანები, ვისაც აქვს აზროვნების უნარი, თაყვანს სცემენ უსულო ხეებს და კლდეებს, რომლებსაც არ აქვთ აზროვნება, ინტელექტი, და ვერც კი მოძრაობენ. სად არის ამ ხალხის აზროვნება? უეჭველად, შორს არის სამყაროთა ღმერთი იმისგან, რასაც ისინი ამბობენ. ჰადისი - აბუ ვაყიდ ალ-ლაისის ჰადისი, რომელშიც ვკითხულობთ:

‘ალლაჰის შუამავალთან ერთად გავემართეთ ჰუნაინისკენ. მაშინ ახალი დატოვებული გვქონდა ურწმუნოება და ახალი მიღებული გვქონდა ისლამი. წარმართებს ჰქონდათ ხე, რომელთანაც გროვდებოდნენ თავისი რიტუალების ჩასატარებლად, რომელზეც ჰკიდებდნენ ბრძოლის წინ აბჯარს და ა.შ. ამ ხეს ეძახდნენ 'ბათ ანვატს. როცა ამ ხეს ჩავუარეთ, ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ვუთხარით - შუამავალო, გაგვიკეთე ჩვენც ერთი ასეთი ხე, ისეთი, როგორც წარმართებს ჰქონდათ! ალლაჰის შუამავალმა კი გვიპასუხა: ღმერთი უდიდესია!(სუბჰან ალლაჰ) თქვენი ნათქვამი მსგავსია იმისა, რაც თქვა მუსას ხალხმა: დაგვიდგინე ჩვენ ისეთი ღვთაება, როგორი ღვთაებებიც ჰყავთ მათ.

მიუგო: უეჭველად, თქვენ ხართ უვიცი ხალხი,
(ა'რაფ 7:138)

ვფიცავ მას, ვის ხელშიც არის ჩემი სული, თქვენ გაჰყვებით იმათ გზას ვინც იყო თქვენამდე. (თიმრიზი 2180)

აბუ ვაყიდ ალ-ლაისი ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც მიიღო ისლამი ჰიჯრიდან რვა წლის შემდეგ (ე.ი 630 წელს). ანვატი არის 'ნავტის' მრავლობითი ფორმა, და ნიშნავს ჩამოკიდებას, ანუ რალაცას, რომელზედაც რალაც ჩამოკიდებულია. ურწმუნოები მასზე იარაღს ჰკიდებდნენ და იმ ხისგან ელოდებოდნენ სიკეთეს. ზოგიერთმა საჰაბამ, რომლებსაც დიდი ხანი არ იყო რაც ისლამი ჰქონდათ მიღებული და სრულად არ ესმოდათ თავკიდი, თქვეს: 'ო ალლაჰის შუამავალო, ჩვენც დაგვიდგინე ბათ ანვატი, როგორიც მათ აქვთ' ის იყო ბრმად მიყოლისა და მიბადვის მაგალითი, ასეთმა მოთხოვნამ გააოცა შუამავალი და თქვა:

'სუბჰანალლაჰ!' შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) უთხრა მათ: 'თქვენი ნათქვამი მსგავსია იმისა' ანუ გზა, რომელსაც ხალხი მიჰყვება. მიზეზი, რის გამოც მოითხოვეთ ზათ-ანვატის ხე, არის თქვენამდე მოსულთა გზაზე გაყოლა და მუშრიქებზე მიბაძვა. ეს იყო ისრაელის შვილების ნათქვამის მსგავსი, რომელიც უთხრეს მუსას. როდესაც მუსამ ისრაელის შვილების ერთად გადალახა ზღვა და ალლაჰმა დაახრხო მათი მტრები, მათ გაიარეს რამდენიმე წარმართის სიახლოვეს, რომელიც მათი კერპების თაყვანისცემით იყვნენ დაკავებულნი და უთხრეს მუსას:

قَالُوا يَا مُوسَى اجْعَلْ لَنَا إِلَهًا كَمَا لَهُمْ آلِهَةٌ قَالَ إِنَّكُمْ قَوْمٌ تَجْهَلُونَ

ჰეი, მუსა! დაგვიდგინე ჩვენ ისეთი ღვთაება, როგორი ღვთაებებიც მათ ჰყავთ. (მუსამ კი) უთხრა: უეჭველად, თქვენ უვიცი ხალხი ხართ.. (ა'რაფ 7:138)

მუსამ უარყო მათი ნათქვამი და თქვა:

إِنَّ هَؤُلَاءِ مُتَّبِعُونَ مَا كَانُوا يَعْمَلُونَ

ჭეშმარიტად, გაანადგურებს მათ ის, რასაც ადგანან და ამაო იქნება, რასაც აკეთებენ. (ა'რაფ 7:139)

იმიტომ, რომ ეს არის შირქი. შემდეგ მუსამ უთხრა მათ:

قَالَ أَغَيْرَ اللَّهِ أَبْغِيكُمْ إِلَهًا وَهُوَ فَضَّلَكُمْ عَلَى الْعَالَمِينَ

უთხრა: განა ალლაჰის გარდა გსურთ მოგინახოთ სხვა ღვთაება? მაშინ, როცა მან გამოგარჩიათ თქვენ სამყაროთა ზედა? (ა'რაფ 7:140)

ასე რომ, მუსამ უარყო მათი ნათქვამი, ისევე, როგორც ჩვენმა შუამავალმა მისი საჰაბას სიტყვები - მაგრამ არც მუსას ხალხს და არც შუამავლის საჰაბებს შირქი არ ჩაუდენიათ, რადგან როდესაც ისრაელის შვილებმა ეს თქვეს, ისინი არაფერს არ უტოლებდნენ ალლაჰს. ღმერთმა, საჰაბეებიც, ზათ-ანვატის მოთხოვნის შემდეგ გადაარჩინა შირქისგან. მათ უკან წაიღეს სიტყვები მას შემდეგ, რაც აეკრძალათ, მათ ეს თქვეს უცოდინრობის გამო და არა განზრახ, და როცა შეატყობინეს, რომ ეს იყო შირქი, მათ შეწყვიტეს და აღარ გააგრძელეს იგივეს თქმა. თუ გააგრძელებდნენ, მაშინ შირქს ჩაიდენდნენ ალლაჰის მიმართ. ასე რომ, ეს ჰადისი იმის დასტურია, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ეთაყვანებოდნენ ხეებს (ე.ი ზათ ანვატს). საჰაბეები, რომელთა გულებში ცოდნა არ იყო მყარად გამჭდარი, შეეცადნენ მიეხადათ მათთვის, მაგრამ ალლაჰმა გადაარჩინა ისინი მისი შუამავლის მეშვეობით. საჰაბეების მოქმედებიდან, ვსწავლობთ შემდეგ საკითხებს:

ა) თავჰიდის უცოდინრობის საფრთხე. ვინც არ იცის თავჰიდი, სავარაუდოდ ჩავარდება შირქში ისე, რომ ვერც გააცნობიერებს. ასე რომ, საჭიროა თავჰიდის შეცნობა, გაგება და იმის სწავლა თუ რა ეწინააღმდეგა მას, ე.ი შირქი. ადამიანმა ისე უნდა შეისწავლოს ეს ორი საკითხი, რომ მან შეიძინოს საკმარისი ცოდნა, რამაც შეიძლება გამოიყვანოს იგი უმეცრებიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხედავს, რომ სხვა ადამიანები შირქს სჩადიან. ასე რომ, უცოდინრობა საშიშია, განსაკუთრებით 'აყიდის საკითხებში.

ბ) ეს ჰადისი ხსნის წარმართებზე მიბაძვის საფრთხეს, რომელმაც შეიძლება ადამიანი მიიყვანოს შირქამდე. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'ვინც მიჰბაძავს რომელიმე ჯგუფს, ის ერთ-ერთი მათგანია' (აბუ დავუდ 4031)

ასე რომ, დაუშვებელია მათზე მიბადვა.

ც) კლდეებიდან, ხეებიდან და ნაგებობებიდან სიკეთის მოლოდინი შირქია - თუნდაც სხვა სახელი ეწოდოს. ასეთი მოქმედება აკრძალულია, რადგან მისგან სიკეთის მომლოდინე ელოდება სიკეთეს არა ალლაჰისგან, არამედ კლდიდან, ხეებიდან, საფლავებიდან და სამარხებიდან - და სწორედ ეს არის შირქი, თუნდაც სხვა სახელით მოიხსენიონ.

შირქის მეოთხე საფუძველი

ჩვენი დროის წარმართები უფრო უარეს შირქში არიან, ვინც წინა თაობის წარმართები, რადგან წინა თაობის წარმართები შირქს აკეთებდნენ მხოლოდ მშვიდად ყოფნის დროს, ხოლო სირთულეების (ე.ი გაჭირვების) დროს გულწრფელად მიმართავდნენ მხოლოდ ალლაჰს. დღევანდელი წარმართების შირქი უწყვეტია, სიმშვიდის და გაჭირვების დროსაც შიქრს სჩადიან. ალლაჰი ამბობს ერთ-ერთ აიათში:

فَإِذَا رَكِبُوا فِي الْفُلِكِ دَعَوْا اللَّهَ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ فَلَمَّا نَجَّاهُمْ إِلَى الْبَرِّ إِذَا هُمْ يُشْرِكُونَ

'როცა ისინი დასხდნენ გემში, მოუხმეს ალლაჰს გულწრფელი რწმენით და, როდესაც გადაარჩენს მათ და ხმელეთზე გაიყვანს, თანაზიარს უდგენენ.' ('ანქებუთ 29:65)

მეოთხე საფუძველი არის ის, რომ ჩვენი დროის წარმართები იმ წარმართებზე უარესები არიან, ვისთანაც გაგზავნილი იყო ალლაჰის შუამავალი. ალლაჰმა გვაცნობა, რომ წინა თაობის წარმართები გულწრფელები ხდებოდნენ ალლაჰის მიმართ, როდესაც სირთულე დაატყდებოდათ თავს. ისინი ამ დროს ალლაჰის გარდა არავის უხმობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მათ ვერავინ იხსნიდა გაჭირვებისგან ალლაჰის გარდა, როგორც მან გვაცნობა:

وَإِذَا مَسَّكُمُ الضُّرُّ فِي الْبَحْرِ ضَلَّ مَنْ تَدْعُونَ إِلَّا إِلَٰهَ ۖ فَلَمَّا نَجَّكُمْ إِلَى الْبَرِّ أَعْرَضْتُمْ ۚ وَكَانَ الْإِنْسَانُ كَفُورًا

და როცა შეგეხოთ ხიფათი ზღვაში, დაიკარგა, ვისაც მოუხმობდით, მის გარდა, ხოლო როცა ნაპირზე გამოგიყვანათ, პირი იბრუნეთ. ჭეშმარიტად, ადამიანი უმადურია. (ისრა 17:67)

وَإِذَا غَشِيَهُمْ مَوْجٌ كَالظُّلَلِ دَعَوْا اللَّهَ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ

'და როცა ტალღა დაფარავს მათ, როგორც შავი ღრუბელი, უხმობენ ალლაჰს მისდამი ხალასი რწმენით...' (ლუყმან 31:32)

ეს აიათი ნიშნავს: ისინი გულწრფელად უხმობდნენ მხოლოდ ერთადერთ ღმერთს.

فَلَمَّا نَجَّاهُمْ إِلَى الْبَرِّ إِذَا هُمْ يُشْرِكُونَ

...როდესაც გადაარჩენს მათ და ხმელეთზე გაიყვანს, თანაზიარს უდგენენ.' ('ანქებუთ 29:65)

ასე რომ, უწინდელებმა შირქი ჩაიდინეს მხოლოდ სიმშვიდის დროს და უხმობდნენ ხეებს, კლდეებს და კერპებს. მაგრამ როდესაც ისინი გაჭირვებაში ჩავარდებოდნენ და სადაც იყო განადგურდებოდნენ, ისინი არ უხმობდნენ მათ კერპებს და ქვეებს. პირიქით, ისინი მხოლოდ ერთადერთ ღმერთს უხმობდნენ, რამეთუ იცოდნენ, რომ მათ ვერავინ დაიხსნიდა გაჭირვებისგან ღმერთის გარდა. რაც შეეხება ჩვენი დროის წარმართებს, ისინი შირქს სჩადიან სიმშვიდისა და გაჭირვების დროსაც. ისინი არასოდეს არიან გულწრფელები ღმერთის მიმართ, თუნდაც გაჭირვების დროს. უფრო მეტიც, როდესაც მათი საქმეები რთულდება, მაშინ შირქი უფრო ძლიერდება და უხმობენ ჰასანსა და ჰუსეინს, აბდულ ყადირს, არ-რიფა'ის და სხვებს. როცა ისინი ბღვაში (ე.ი გემზე და ბღვა აღელდა) არიან, და მათი საქმე რთულდება ისინი იწყებენ ევლიების და მართლმორწმუნეების სახელების ყვირილს, რადგან სიცრუისა და გზააბნევისკენ მომწოდებლები უბნებიან მათ: 'ჩვენ გიხსნით ბღვისგან, თუ რაიმე გაჭირვება დაგატყდებათ თავს, იყვირეთ ჩვენი სახელები და ჩვენ გიშველით' როგორც მოთხრობილია სუფისტი შეიხებისგან. თუ გსურთ წაიკითხეთ 'ტაბაყათ ამ-შა'რაფი'. ისინი ხსენებულ მოვლენებს ევლიების ქარამათს (სასწაულებს) უწოდებენ. და მათ სჯერათ, რომ ისინი ხალხს ბღვიდან იხსნიან. თითქოს მათი შეიხი ხელებით სწვდება ბღვას, მთელ ხომალდს ატარებს და ნაპირზე მიჰყავს, და მკლავებიც კი მშრალი რჩება და სხვადასხვა ასეთი ბლაპრები. ასე რომ, ახლანდელი წარმართების შირქი უწყვეტია სიმშვიდისა და გაჭირვების დროს და უწინდელ წარმართებზე უარესები არიან. შეიხ ათ-თამიმმა ასევე დანერა წიგნი 'ქაშფ ამ-შუბუჰათ' სადაც აღწერა კიდევ ერთი მიზეზი თუ რატომ არიან დღევანდელი წარმართები უწინდელ წარმართებზე უარესები. უწინდელები თაყვანს სცემდნენ მართლმორწმუნეებს, ანგელოზებს, შუამავლებს და ევლიებს, ხოლო დღევანდელი წარმართები ეთაყვანებიან გზააბნეულ ადამიანებს, რომლებსაც უწოდებენ 'აყტააბ'-ს (სვეტები) და ისინი ამ ფაქტს აღიარებენ. ისინი უხმობენ მათ, რომლებიც არ ლოცულობენ, არც მარხულობენ, მრუშობენ და სოდომის (ჰომოსექსუალიზმი) ცოდვას სჩადიან და აცხადებენ, რომ ისინი თავისუფალნი არიან ჰალალისა და ჰარამის შეზღუდვებისგან და რომ ეს შეზღუდვები მხოლოდ საერთო მასებისთვის არისო. მათ იციან და აღიარებენ, რომ მათი წინამძღოლები არიან სამარცხვინო ადამიანები და მაინც უხმობენ მათ, როგორებიცაა ალ-ჰალაჯი, ალ-არაბი, არ-რიფა'ი, ალ-ბადავი და სხვები. შეიხმა ახსნა, რომ დღევანდელი წარმართები შირქში უფრო მკაცრები არიან ვიდრე უწინდელები და ამის დასტურია ალლაჰის ნათქვამი:

فَإِذَا رَكِبُوا فِي الْفُلِكِ دَعَوْا اللَّهَ مُخْلِصِينَ لَهُ الدِّينَ فَلَمَّا نَجَّاهُمْ إِلَى الْبَرِّ إِذَا هُمْ يُشْرِكُونَ

'როცა ისინი დასხდნენ გემში, მოუხმეს ალლაჰს გულწრფელი რწმენით და, როდესაც გადაარჩენს მათ და ხმელეთზე გაიყვანს, თანაზიარს უდგენენ.' ('ანქებუთ 29:65)

ალლაჰის ლოცვა და სალამი იყოს ჩვენს შუამავალზე, მუჰამმადზე, მის ოჯახზე და მის ყველა მიმყოლზე.

